ახალი განათლება

2012 წელი, 25 - 31 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№31 (585) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და გაზეთი „ახალი განათლება“ აცხადებენ ერთობლივ კონკურსს თემაზე „გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“.

კონკურსის მიზანია: გამოავლინოს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები და გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი არამატერიალური საგანძურის დაცვისათვის.

კონკურსი გაიმართება ორ ტურად:

პირველი ტური

ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გეგმის მიხედვით, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის, ქუჩისათვის, სკოლისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის აღწერა.

სკოლის შიგნით შერჩეული საუკეთესო, ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში (axaliganatleba@gmail.com). წერილებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები. გადმოგზავნის ვადაა **20 ნოემბერი**.

საინტერესო წინადადებები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

მეორე ტური

პირველი ტურის გამარჯვებულები, კონკურსის ორგანიზატორებთან ერთად, შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათს და წარადგენენ მას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში სტატუსის მისანიჭებლად. საუკეთესო ნიმუშებს 20 დეკემბრამდე მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის“ სტატუსი.

საინტერესო წინადადებების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, კლასი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სიგელით და წოდებით – „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“. საუკეთესო ნამუშევრები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი –
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი), სკოლის სრული დასახელება –
5. სკოლის დირექტორი –
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი) –
7. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის მოკლე აღწერა

მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

♦ რას გულისხმობს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ – 5-6 წინადადება.*

♦ მიუთითეთ ნიმუშის დანიშნულება.

♦ *რა საშუალებით გამოიყენება ეს ნიმუში პრაქტიკაში – საჭირო მასალა (ქვა, ქაფი, ხე, მატერია, მეტალი, საკვები პროდუქტი და ა.შ.), მონაწილეების რაოდენობა (დღესასწაული, საგალობელი, შელოცვა, ლოცვა, რიტუალი, წესი და ა.შ.), მონაწილეთა პროფესია (ხევისბერი, მქარგავი, ხურო, მზარეული და ა.შ.), შესაბამისი ამინდი, წელიწადის დრო, გარემო პირობები ან სხვა ისეთი პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის შესასრულებლად.*

♦ *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან სამეურნეო, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისთვის (5-6 წინადადება).*

სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 200 სიტყვას.

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში – (32)298-39-24, 13.00-15.00სთ ან 599 62 34 99; aramaterialuri@yahoo.com

გაიგე მეტი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ – იხ. „ახალი განათლება“ №30

პედაგოგთა დასახმარებლად

ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული პორტრეტები

გრიგოლ ორბელიანი

გვერდი 6

მეთოდიკა

როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში

გვერდი 7

იურისტის კონსულტაცია

პედაგოგთა შეკითხვებს პასუხობს სპთპ-ს იურისტი თამარ ავალიანი

გვერდი 8

გამოფენა

რაჭის საგანძური

გვერდი 9

განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრი – რას ელიან დირექტორები

ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები, ბუნებრივია, ყველა სფეროზე აისახება. საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტმა დაამტკიცა ახალი მთავრობა, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი გიორგი მარგველაშვილი. მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, რა მოლოდინი აქვთ განათლების სფეროს მუშაკებს.

– რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი; როგორი ურთიერთობა უნდა იყოს განათლების სამინისტროსა და საჯარო და კერძო სკოლებს შორის – როგორი უნდა იყოს სკოლების დამოუკიდებლობის ხარისხი; რა ცვლილებებია სასურველი და რისი შენარჩუნება მიაჩნიათ გამართლებულად უკვე გატარებული რეფორმიდან – გთავაზობთ სკოლის დირექტორების მოსაზრებებს.

გვერდი 2-4

აქტუალური თემა

სტრატეგიული უწესრიგობა

დიმიტრი მეჭურჭლიშვილი
თბილისის №116 საჯარო სკოლის დირექტორი

ქართულმა სკოლამ 2003 წლის შემდეგ საკმაოდ რთული, მაგრამ საინტერესო გზა გაიარა. ჩვენ მოწმენი გავხდით ორი მოდერნიზაციის, რომელთაც შეიძლება, პირობითად, „ლომაიას“ და „შაშკინის“ მოდერნიზაცია ეწოდოს.

პირველი მოდერნიზაცია მიმართული იყო სკოლების დეცენტრალიზაციისაკენ და ემთხვეოდა საზოგადოების ისტორიული განვითარების დიალექტიკას.

მეორე მოდერნიზაცია იყო პირველი მოდერნიზაციის აბსოლუტური ანტაგონი. ის ძირშივე მცდარი და ისტორიული პროცესების საწინააღმდეგო მოვლენა გახლდათ. მეორე მოდერნიზაციას, პირობითად, შეიძლება პოლიტიკური სიბეცე ეწოდოს. საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღეთ ის, რაც გვაქვს. ამ მდგომარეობას ჰქვია „სტრატეგიული უწესრიგობა“.

პირველი მოდერნიზაციის ისტორიული შედეგები

I. *ეროვნული გამოცდების შემოღება*, რომელმაც დაანგრია უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის კორუფციული სისტემა, გაზარდა ცოდნაზე მოთხოვნილება, ამაღლდა სკოლის როლი და საჭიროება, რომელიც მანამდე მეორეხარისხოვანი ინსტიტუციის მდგომარეობაში იმყოფებოდა. გაიზარდა მოთხოვნა საგანმანათლებლო ბაზარზე, რეპეტიტორების მიმართულებითაც, რამაც მეტი შესაძლებლობა გაუჩინა კვალიფიციურ პედაგოგებს /დასაქმებისა და დამატებითი შემოსავლის მიღებისა/. უამრავი მათგანი სამშობლოში დარჩა და გადაიფიქრა უცხოეთში საშოვარზე გადახვენა. სოციალური თვალსაზრისით, მრავალი ოჯახი გადაურჩა დაშლას, მრავალი მოსწავლე ასცდა ქუჩაში უდედმამოდ გაზრდას!

II. *საგანმანათლებლო სისტემაში „პატრონყმობის“ გაუქმება* – სასკოლო საზოგადოების მიერ საჯარო სკოლის დირექტორების არჩევით სისტემაზე გადასვლა. რაც რეალურ სასწავლო პროცესში ნიშნავდა სკოლაზე მზრუნველი მენეჯერების გაჩენას, მათ მიერ სასკოლო საზოგადოების მოთხოვნილებების შესწავლა-გათვალისწინებას, საგანმანათლებლო ბაზრის შეკვეთის შესრულებას და ა.შ. ანუ ეს გახლდათ აქტი, რომელსაც უნდა შეემზადებინა ნიადაგი საზოგადოების დემოკრატიზაციის დონის ამაღლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა. მეორე მხრივ, მდგომარეობა, როდესაც ქვეყნის მოქალაქე საკუთარი უნარებისა და ცოდნის მეშვეობით აღწევს სასურველ მიზანს ჯანსაღი კონკურენციის გზით, არის წინაპირობა ღია საზოგადოების შექმნისა. არჩევითი დირექტორების ინსტიტუტის შემოღება ნიშნავდა დეცენტრალიზაციის დაწყებას, სკოლების ავტონომიას, თავისუფალი ბაზრის აღიარებას. კორუფციული და პროტექციული დანიშვნითი საბჭოთა სისტემის გაუქმებას. ყოველივე ეს მოესწრო მინისტრის პრინციპულობისა და კეთილსინდისიერების გამო. მან „ფეხი არ ჩააყოფინა“ დირექტორების კონკურსში კორუფცია-პროტექციის მოსურნე პარტიულ თუ ბიუროკრატიულ ინტერესთა ჯგუფებს. სწორედ ამ გადაგვარებული ბიუროკრატიის გაღიზიანების შედეგი იყო ის ნეგატიური პიარი, რაც ა. ლომაიას და მის გუნდს დაატყდა თავს. სამწუხაროდ, ჯანსაღი ქართული საზოგადოება არ აღმოჩნდა მზად დაეცვა პროგრესისთვის მებრძოლი გუნდი. საბოლოო ჯამში, მინისტრი ემსხვერპლა გადაგვარებულ ბიუროკრატიას. მისი წასვლა მოდერნიზაციის პირველი ეტაპის დასამარებას ნიშნავდა!

III. *„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მიღება.*

IV. *„ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღება“.*

„ეროვნული სასწავლო გეგმის“ შემოღებით, სასწავლო პროცესში არსებული ქაოსი და არასტაბილურობა შეცვალა გეგმიურმა მუშაობამ და სტაბილურობამ. „ეროვნული სასწავლო გეგმის“ „ხარვეზები“, შეუსაბამობები ჩვენს მენტალობასთან ვერანაირად ვერ დაჩრდილავს მის ისტორიულ მნიშვნელობას. აღნიშნული ხარვეზები და შეუსაბამობები გასწორებად ხასიათს ატარებს.

V. *განათლების ეროვნული მიზნები.*

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელმაც სიცხადე შეიტანა სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკაში.

VI. *ვაუჩერული დაფინანსების შემოღება*, რომელმაც უზრუნველყო საგანმანათლებლო ბაზრის ფორმირება.

მეორე მოდერნიზაციის ისტორიული შედეგები

/პოზიტიური/

♦ საატესტატო გამოცდების შემოღება, რომელმაც დაალაგა ვითარება სკოლაში. გაზარდა მოსწავლეთა სწრაფვა ცოდნისაკენ.
♦ ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების აღდგენა.
♦ პრეტესტების /გაშიფრული სახით/ ნაწილობრივი შემოღება, რომელიც უდიდესი დახმარებაა სკოლებისთვის.
♦ ბრენდირების შემოღების მცდელობა.
♦ დაფინანსების ფორმულის შექმნის მცდელობა.

/ნეგატიური/

♦ უმკაცრესი ცენტრალიზაცია /ტოტალიტარიზმის ნიშნებით/.
♦ სკოლების მანდატურიზაცია.
♦ საკანონმდებლო ინტერვენცია /კანონის გაუარესების მიმართულებით/.
♦ მორალურ-სამართლებრივი კრიზისის შექმნა.
♦ სამინისტროპოლიის შექმნის მცდელობა.
♦ ძალადობა სასკოლო საზოგადოებაზე.
♦ ზღვარგადასული პიარნიაღვარი.

წინა ორი მოდერნიზაციის გათვალისწინებით დღეს ქართული სკოლის წინსვლისთვის აუცილებელია, მინიმუმ, შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

I. მრავალვარიანტულობის აღიარება – განსხვავებული მიდგომები

ეს გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ქვეყნის სკოლები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მნიშვნელოვნად და მათ მიმართ სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა განსხვავებული მიდგომები, ასევე განსხვავებული საკანონმდებლო ბაზა. მათი განვითარების ხელშესაწყობად საჭიროა ისინი დავაჯგუფოთ პრობლემების, შესაძლებლობების და სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით, რაც საშუალებას მოგვცემს, სწრაფად და ზუსტად აღმოვუჩინოთ მათ დახმარება. მაგ.:

ა) *ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიხედვით* – კარგ მდგომარეობაში მყოფნი, საშუალო მდგომარეობაში მყოფნი, ცუდ მდგომარეობაში მყოფნი და ა.შ. აქ შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ქვეკატეგორია: შენობის მდგომარეობა, ინვენტარის მდგომარეობა, კომუნიკაციების მდგომარეობა და სხვ.

ბ) *მენეჯმენტისა და პერსონალის ხარისხის მიხედვით*, მაგალითად, აქაც შესაძლებელია სხვადასხვა ქვეკატეგორიების დალაგება: მენეჯმენტის სიძლიერე, პერსონალის კვალიფიკაციის დონე, თვითმმართველი და არათვითმმართველი სკოლები, სამუშაო ატმოსფერო, კონკურენტუნარიანობის ინდექსი, დატვირთულობის /მოთხოვნადობის ინდექსი/, საატესტატო გამოცდების შედეგების მიხედვით, უმაღლესში ჩარიცხულთა მიხედვით, ოლიმპიადაში გამარჯვებულთა მიხედვით და სხვა.

გ) *მაღალმთიანობის მიხედვით.* სკოლები, რომლებიც მდებარეობენ ასეთ ზონებში, საჭიროებენ რეფინანსირებას მომსახურების სიძვირის გამო და გარკვეული სახელფასო კოეფიციენტების შემოღებას თანამშრომლებისთვის, რაც, ჩვენი აზრით, უნდა გააკეთოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ. მან უნდა გადასცეს სკოლას დამატებითი, ე.წ. „განვითარების ვაუჩერი“.

დ) *მცირეკონტინგენტიანობა* – პრობლემა, რომელიც გამოწვეულია, ძირითადად, მოსახლეობის დიდი მიგრაციით, შობადობის დაცემით და მძიმე სოციალური ფონით. აქაც შესამუშავებელია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მათი „განვითარების ვაუჩერის“ ოდენობა, ცენტრალური დაფინანსების პარალელურად.

ე) *საბაზრო და არა საბაზრო ზონის სკოლები.* ვაუჩერიზაციის პროცესმა დააჩქარა სასკოლო საგანმანათლებლო ბაზრის შექმნა. ეს ბაზარი მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება „ნევიჟუს“ პოლიტიკა, მაინც დაბადებულია, არსებობს და, ირიბად თუ პირდაპირ, გავლენას ახდენს სისტემაზე. სახელმწიფო ვალდებული გახდება, ადრე თუ გვიან, აღიაროს იგი და იმოქმედოს თავისუფალი ბაზრის პრინციპების შესაბამისად. ასეთი ბაზარი რეალობაა დედაქალაქში, დიდ ქალაქებში, რეგიონულ ცენტრებში და სხვაგან. საბაზრო პირობებში მომუშავე სკოლის მენეჯმენტი საჭიროებს მოქმედების მეტ თავისუფლებას, ანუ ნაკლებ მეურვეობას, ნაკლებ ეტატიზმს სახელმწიფოს მხრიდან, რომ სკოლა იყოს კონკურენტუნარიანი /მაგ. საშტატო განრიგის დამოუკიდებლად შექმნა და სხვა მრავალი/.

არის მეორე არასაბაზრო ზონა, სადაც ხდება ეკონომისტების ენაზე ე.წ. „საბაზრო ჩავარდნა“: აქ ჯერ ალტერნატიული არჩევანის შესაძლებლობა მომხმარებელს არ გააჩნია. თუმცაღა საბაზრო ზონები მაინც ახდენენ ირიბ გავლენას არასაბაზრო ზონებზე. არასაბაზრო ზონების სკოლების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს უფრო მეტი მეურვეობის დაშვება /მაგ. საშტატო განრიგის საკითხი და ასე შემდეგ/.

II. საკანონმდებლო ბაზის ლიბერალიზაცია /დერეგულაცია/

ქართული საზოგადოება საგანმანათლებლო სისტემასთან მიმართებაში უშვებს ორ მთავარ შეცდომას: 1. რატომღაც ითვლება, რომ სასკოლო განათლება არ არის საბაზრო ეკონომიკის ნაწილი და ამიტომ საბაზრო ეკონომიკის კანონებით არ უნდა იმართებოდეს! 2. ითვლება, რომ საგანმანათლებლო სისტემაში ბაზარი არ მოქმედებს, ანუ სასკოლო-საგანმანათლებლო ბაზარი არ არსებობს. ეს ორი შეცდომა განპირობებულია კომუნისტური წარსულის ისტორიული მეხსიერებით და ეკონომიკური განათლების დაბალი დონით.

დღეის მდგომარეობით, „დაჩეხილი“, „შინაარსწართმეული“ და გადაგვარებული ბიუროკრატიის თარგზე მორგებული „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი აცდენილია განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს, რომლისთვისაც ეტყობა „ვერ მოიცალეს“ და საჭიროებს აღდგენა-„გაკეთილშობილებას“, ოცდამეერთე საუკუნის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის რეალობების შესაბამისად. ასევე დასახვეწია და ცვლილებებს საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმა. საშინელი უწესრიგობაა კანონქვემდებარე აქტებში, რომლებიც ზოგჯერ აბსურდამდე მიდის, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავ რეგულაციებს ქადაგებს. მოგიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს: ჩვენი კანონმდებლობით, სერტიფიცირებული მასწავლებელი, მით უფრო 1000-ლარიანი ან დამრიგებელი, ავად არ შეიძლება გახდეს! თუ გახდა, მას კანონი აღნიშნულ დანამატებს არ აუნაზღაურებს!

ჩვენი კანონმდებლობა არ ცნობს ლექტორის პედაგოგიურ სტაჟს თუ მან, მაგ. მასწავლებელი აღზარდა და შემდგომ თვითონ გადაწყვიტა სკოლაში მუშაობა, ის ამ სტაჟის დანამატს ვერ მიიღებს! ექნება რომელიმე ლექტორს ასეთ ვითარებაში სკოლაში დამატებით მუშაობის მოტივაცია?!

დრაკონულია მასწავლებლის ეთიკის კოდექსიც – მასწავლებელს ეკრძალება მოამზადოს მოსწავლე და აიღოს თავის შრომაში გასამრჯელო, იმავე მასწავლებელს შეუძლია აიღოს კერძო სკოლაში თანხა, რომელიც მისი მოსწავლის მშობელმა გადაიხადა! სად არის აქ ლოგიკა?!

მთლიანად შესაცვლელია მასწავლებლის ანაზღაურების სისტემაც, საბაზრო ფასსა და სახელმწიფო ფასს შორის დიდი სხვაობა დარეგულირების აუცილებლობაზე მიუთითებს. მასწავლებლის შრომა უნდა დაუკავშირდეს საბოლოო შედეგებს. შემოღებულ უნდა იქნეს ბონუს სისტემები. დღევანდელი ანაზღაურების სისტემა ახალისებს ე.წ „საჩოკების“ /ხალტურის/ მოყვარულებს. სკოლის ყველაზე დიდი ტრაგედია მოტივაციის სისტემის არარსებობაა. დაფინანსების დღევანდელი დონე არ იძლევა ამის საშუალებას. სკოლების დაფინანსების ფორმულაში აუცილებელია მოტივაციის კომპონენტის შემოყვანა. სკოლები, რომლებიც კარგად მუშაობენ უნდა განსხვავდებოდნენ იმათგან, ვინც ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებებს.

კერძო და საჯარო სკოლებს შორის საკანონმდებლო და ფინანსური დისკრიმინაციის აღმოფხვრა გადაუდებელი ამოცანაა, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე თანასწორუფლებიანი სუბიექტების გაჩენას!

დაფინანსების სისტემის შეცვლა, დაფინანსებაში მოტივაციის კომპონენტის გაჩენა, მაგ. ერთი რაიონის დონეზე ყველაზე საუკეთესო შედეგების /სხვადასხვა კრიტერიუმებით/ მქონე სკოლისათვის მინიმუმ ორჯერ დაფინანსების გაზრდა /მასწავლებლების, ადმინისტრაციის ხელფასების ორჯერ ზრდა/ გამოიწვევს არნახულ ნახტომს უკეთესობისაკენ სკოლების მუშაობაში!

ზოგადად პრაგმატულობის დეფიციტი – ეს არის მთავარი სენი ქართული საგანმანათლებლო კანონისა. საკითხები, რომლებიც სრულიად მშვიდად და წყნარად გადაწყდება სკოლის დონეზე, სამინისტროს გადასაწყვეტია! საინტერესოა, 3000 სკოლის პრობლემას როგორ გადაწყვეტს, სკოლაზე უკეთ, სამინისტროს ათიოდე ჩინოვნიკი!

III. სკოლების დეცენტრალიზაცია, რეალური ავტონომიის მინიჭება.

სკოლების დეცენტრალიზაციის გარეშე წარმოუდგენელია თავისუფალი ბაზრის არსებობა. კონკურენციის არდაშვება, მის წინააღმდეგ ბრძოლა არის ცივილიზაციის განვითარების ისტორიული პროცესის წინააღმდეგ სვლა, რაც გარდაუვალი კრახით დამთავრდება. „ბიზნესისა და პოლიტიკის სასაფლაო სავსეა იმ სუბიექტებით, ვინც ყური არ ათხოვა საზოგადოებრივი განვითარების მაჯისცემას“.

ზოგადი განათლების კანონში არსებული „მორცხვი“ ჩანაწერი – „სკოლები სარგებლობენ ფინანსური და ადმინისტრაციული ავტონომიით“ – უნდა შეივსოს რეალური საქმით. კერძოდ:

საკუთარი წესდების შექმნა – სკოლებმა თვითონ უნდა შეადგინონ თავისი წესდება, არსებული კანონის შესაბამისად (რომელიც დღემდე მკვდარ ნორმად აქციეს დეცენტრალიზაციის მოძულეებმა!), სადაც თვითონ უნდა განსაზღვროს სკოლის რაობა, სკოლის სტრუქტურა და უამრავი სხვა რამ. მაგალითად, როგორ ირჩევენ საკუთარ დირექტორს. ვინაიდან სკოლის დირექტორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა სასკოლო საზოგადოებაში, მისი საკითხი იწვევს ბევრ ვნებათაღელვას და ინტერესს, ამიტომ ორიოდე სიტყვით უნდა განვაცხადოთ რომ:

სკოლების მენეჯერიალიზაცია არის წარმატების ერთადერთი უალტერნატივო გზა. დასავლეთის სამყაროს სიძლიერე, სიუხვე და სიკეთე განაპირობა, უპირველესად, მენეჯერთა თავდაუზოგავმა შრომამ. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში კვლავ გაბატონებულია პრიმიტიული წარმოდგენები მენეჯერების, მათ შორის სკოლის დირექტორის როლისა და შრომის შესახებ. ვინაიდან სკოლა ყველამ დაამთავრა, ჰგონიათ, რომ დირექტორობა ძალიან იოლი საქმეა! მსგავსად ფეხბურთის იმ გულშემატკივრისა, რომელმაც „მწვრთნელზე უკეთ იცის“, როგორ ათამაშოს გუნდი. ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით „საბაზრო ზონებში“, გაკოტრებული და გაყიდული სკოლები, ცარიელი სასკოლო კორპუსები ადასტურებს, რომ კონკურენციის „შოლტი“ ბევრ სკოლას ხვდება, ბევრ სკოლას უმცირებს სამუშაო ადგილს და უმუშევარს ტოვებს პედაგოგებს! ამიტომ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, უაღრესად აქტუალურია დირექტორ-მენეჯერის

აქტუალური თემა

როლი, რომელსაც შეეძლება, მინიმუმ, სკოლის სტრატეგიული უპირატესობის შექმნა მაინც. სკოლა, რომელიც არ აირჩევს მენეჯერს, განწირულია კრახისთვის! აქვე უნდა ითქვას ერთიც, სასკოლო განათლების პროცესი ოთხი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემავსებელი პერსონალური ელემენტისგან შედგება – მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, ადმინისტრაცია.

ვინ არის ყველაზე მეტად დაინტერესებული იმით, რომ სკოლაში იყოს უსაფრთხო და მოტივირებული სასწავლო ატმოსფერო? – უპირველეს ყოვლისა მშობელი, ე.ი. მშობლის ხმა დირექტორის არჩევნებში ძალიან მნიშვნელოვანია! ვინ არის დაინტერესებული, რომ არ დაკარგოს სამუშაო ადგილი და ჰქონდეს კარგი სამუშაო გარემო სკოლაში? – მასწავლებელი, ე.ი. მასწავლებლის ხმაც აუცილებელია. ვინ არის დაინტერესებული, რომ სკოლაში იყოს ისეთი გარემო, იქ წასვლა მიუხაროდეს? – მოსწავლე, მიუხედავად ასაკისა!

ამდენად, უფროსკლასელთა ხმის გამოთიშვაც, მაშინ როდესაც ისინი ვეებერთელა ინფორმაციას ფლობენ და არაერთი საზოგადოებრივი აქტივობის შემოქმედნი და მონაწილენი არიან, არ შეიძლება. მაშ, ვინ უნდა აირჩიოს საკუთარი დირექტორი? სასკოლო საზოგადოების სამივე მონაწილემ! ან პირდაპირი არჩევნების გზით, ან წარმომადგენლების მეშვეობით. ეს საკითხი უნდა განსაზღვროს სკოლის წესდებამ. ჩვენი აზრით, აქ შეიძლება დავუშვათ ორი ვარიანტი, როდესაც დირექტორი არჩეულია და დგება ვადის გაგრძელების საკითხი, ის ვალდებულია, გავიდეს პირდაპირ სასკოლო რეფერენდუმზე. მხარდაჭერის შემთხვევაში, ის მოიპოვებს უფრო მაღალ ლეგიტიმაციას და გააგრძელებს მუშაობას, „არას“ შემთხვევაში – ინიშნება ახალი არჩევნები, სამეურვეო საბჭოს მიერ. კანდიდატი, რომელიც მიდის დირექტორობის არჩევნებზე, სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოცდებით სერტიფიცირებული უნდა იყოს. სხვა კანდიდატის დაშვება დაუშვებელია და არჩევნების ჩაშლაც დაუშვებელია.

რა მოხდება, თუ დირექტორი აირჩია მხოლოდ პედსაბჭომ?! ასეთ შემთხვევაში, მივიღებთ მუდმივ შიდა დაპირისპირებას, პედსაბჭოს ფრაქციებად დაშლას და სასწავლო პროცესის უკანა პლანზე გადაწევას. პედაგოგთა ხელში დირექტორი იქცევა მძევლად, შეიზღუდება მენეჯმენტის თავისუფლება, რაც საბაზრო კონკურენციის პირობებში სრულიად დამღუპველი იქნება. „პედაგოგთა დიქტატს“ მშობელთა მასობრივი უკმაყოფილება და საჯარო სკოლების დაცარიელება მოჰყვება /ხელოვნური გაკოტრება/.

რა მოხდება, თუ მას აირჩევს მხოლოდ მშობელთა სათათბირო? ასეთ შემთხვევაში, იქნება მშობელთა „გადაჭარბებული“ დიქტატი სკოლაზე და პედაგოგთა უკმაყოფილება და სხვა ნეგატივი. ოქროს შუალედი არის სამეურვეო საბჭო, რომელიც უნდა აღდგეს, დაიხვეწოს და განვითარდეს. ის მიზანმიმართულად დააკნინეს, სახელი შეუბღალეს გადაგვარებულმა, ავტოკრატმა ჩინოვნიკებმა, რადგან მასში ხედავდნენ მეტოქეს, წინაღობას განუსაზღვრელი ძალაუფლების მიღების გზაზე. წარმოიდგინეთ პარლამენტი, რომელიც არ ამტკიცებს ბიუჯეტს. სკოლებს აძლევდნენ მხოლოდ იმ თანხას, რაც დაცული მუხლებისთვის იყო განსაზღვრული. არავითარი განვითარების ვაუჩერი, რაზე ემსჯელა სამეურვეო საბჭოს?! მიუხედავად ამისა, სამეურვეო საბჭოების არსებობამ ბევრი სიკეთე მოიტანა, მაგ.: მნიშვნელოვნად შეამცირა საჩივრები, ე.ი. უკმაყოფილო მოქალაქეთა რაოდენობა /შაშკინის დროს ცენტრალიზაციის თანმდევი, პირიქითა პროცესი იყო/.

არჩევითი თუ დანიშნული დირექტორების ინსტიტუტი – ეს საკითხი პერიოდულად წამოიჭრება ხოლმე საგანმანათლებლო სისტემით დაინტერესებულ პირებში.

დანიშვნის მომხრეები ამას ორი ძირითადი არგუმენტით ხსნიან: შინაარსობრივი არგუმენტი – დირექტორი არ უნდა იყოს ანგარიშვალდებული სამართავი ობიექტის მიმართ, რათა მოქმედების მეტი თავისუფლება და ქმედითობა ჰქონდეს. იურიდიული არგუმენტი კი ასეთია, დამფუძნებელმა /ე.ი. სამინისტრომ/ უნდა დანიშნოს ის, ვინც მას უნდა, იმიტომ, რომ ქონება მისია.

პირველ არგუმენტს რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ ამაში არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ დანიშვნას იმდენი ნეგატიური მომენტი ახლავს /პროტექციონიზმი, კორუფცია/, რომ ამ პოზიტივს ასჯერ ფარავს. რაც შეეხება არჩევითობას, საზოგადოების მოწიფულობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ისეთი პროცედურები იქნეს შემუშავებული, რომელიც შეამცირებს ამომრჩევისა და ასარჩევის „სიახლოვეს“ და ამ ნეგატივს გაანეიტრალებს /მაგ. პირდაპირი არჩევნები, ყველა დაინტერესებული შტოს მონაწილეობა/. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ძალაუფლების ამრჩევი „დავაშოროთ“ ძალაუფლებას, რათა დირექტორი იყოს ქმედითი და თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების დროს!

მეორე არგუმენტის მომხრეებს ვუსვამთ კითხვას – მოცემულ ადგილას რომ არ ყოფილიყო სასკოლო საზოგადოება, სახელმწიფო დააფუძნებდა სკოლას?! არა, ე.ი. სკოლის რეალური დამფუძნებელი არის სასკოლო საზოგადოება, რომელმაც უნდა აირჩიოს კიდეც დირექტორი.

დირექტორის სპეციალობა – ასეთი სპეციალობა არ არსებობს. თუ მას შევზღუდავთ სპეციალობით, მაშინ ნაკლები აღბათობა იქნება, ავირჩიოთ სასურველი კანდიდატურა, მაშინ ნაკლები შანსი იქნება, იარსებოს „ღია საზოგადოებამ“, მაშინ ნაკლები შანსი იქნება, განიმუხტოს მუდამ მდუღარე საზოგადოებრივი პროცესები, მაშინ ნაკლები შანსი ექნება მოქალაქეს, მოახდინოს თვითრეალიზაცია. დირექტორის კომპეტენტურობა მოქალაქემ სამინისტროს გამოცდაზე, თეორიულ ნაწილში უნდა დაუდასტუროს!!

„ნუ იკითხავთ რა ფერისაა კატა, მთავარია კატამ თაგვი დაიჭიროს“.

სკოლების დეპოლიტიზაცია. სამეურვეო საბჭოდან უნდა გამოვიდნენ ინტერესთა ჯგუფები, საკანონმდებლო დონეზეც, რომლებიც იქ მივლინებული იქნენ მასზე ზემოქმედების მოსახდენად. სკოლის პერსონალი უნდა შეარჩიოს სკოლამ, ზევიდან და ქვევიდან თავსმოხვევის ნაცვლად. მუდამ უნდა გვახსოვდეს /თუ გვინდა კარგი განათლება/, რომ სკოლა არის საბაზრო სუბიექტი და კვალიფიციური კადრები წყვეტენ ყველაფერს!

დემოკრატიის განვითარება – სასკოლო რეფერენდუმების შემოღება. სკოლა არის ცოცხალი, მგრძნობიარე ორგანიზმი. კატეგორიულად მიუღებელია სასკოლო საზოგადოებაზე ძალადობა! მით უფრო, აბუჩად აგდება! რეაქციები წარსულში ვნახეთ. ჩუმი პროტესტის შედეგიც არჩევნებმა აჩვენა! საჭიროა სასკოლო ცხოვრების დემოკრატიულ რელსებზე გადაყვანა, სასკოლო რეფერენდუმების შემოღება და მისი აქტიური გამოყენება, მაგალითად: მანდატურის ყოფნა-არყოფნის საკითხი მოცემულ სკოლაში – ზოგს შეიძლება სჭირდება, ზოგან სრულიად ზედმეტია; ზოგი საკუთარ კონტროლინგის სამსახურს ამჯობინებს – სასკოლო საზოგადოებამ რეფერენდუმით შეიძლება გადაწყვიტოს. საკუთარი სტატუსი /გაძლიერებული, ჩვეულებრივი, სპეციალიზირებული/ რეფერენდუმზე შეიძლება დადგეს, ასევე – სკოლის წესდების მხარდაჭერის საკითხი, სექტორიანობის საკითხი, დირექტორის ნდობის მანდატი და სხვ. სასკოლო რეფერენდუმების შემოღება დემოკრატიული ცხოვრების მაღალ ხარისხს ნიშნავს და სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობაა.

აკაკი ხუსკივაძე
სსიპ ქალაქ თბილისის №161 საჯარო სკოლის დირექტორი

* * *

სისტემური მიდგომები

1) სისტემური ხედვა – მინისტრი უნდა იყოს ორიენტირებული არა ერთეულ ცვლილებებზე, არამედ თითოეული გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს საერთო სისტემური სარგებელიდან გამომდინარე.

2) მასშტაბურობა – საქართველოს განათლების სისტემა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წამყვანი ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებს, პირიქით, მინისტრი მუდამ უნდა ცდილობდეს, რომ მოხდეს ქართული საგანმანათლებლო სივრცის მორგება მსოფლიოში ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებებთან.

3) მულტისექტორული ურთიერთობა – გათვლილი უნდა იყოს ყველა სხვა დაინტერესებული სტრუქტურის მოთხოვნები, მათ შორის სხვა სამინისტროების, უწყებების, ამ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნესსექტორის (თუნდაც გამომცემლობების) ისე, რომ უცვლელი დარჩეს მთავარი ღირებულება – მოსწავლის უპირატესი ინტერესი.

4) უწყვეტი განათლება – მინისტრი უნდა ერკვეოდეს როგორც სკოლამდელი აღზრდის საკითხებში, ასევე სასკოლო და სპეციალურ განათლებაში, უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაში.

5) წახალისება – მოსწავლეები, სტუდენტები, მეცნიერები და განათლების მუშაკები ხშირად უნდა იყვნენ წახალისებული კარგი სწავლისა და წარმატებული მუშაობისთვის.

პიროვნული თვისებები

1) პრინციპული მიდგომები;
2) მაღალი კომუნიკაცია;
3) კრიტიკული აზრის მოსმენის შესაძლებლობა;
4) პიროვნული ღირებულებების დაფასების უნარი;
5) შრომისმოყვარეობა;
6) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

* * *

სკოლა მრავალ საკითხში გახდა თვითმმართველი ერთეული. არჩევითია დირექტორი, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლა შეიმუშავებს შინაგანაწესს ამტკიცებს ბიუჯეტს ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში. დეცენტრალიზაცია არის სკოლების წარმატების გარანტი. სკოლის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა ხელს შეუწყობს სკოლის პასუხისმგებლობის მატებას საზოგადოების წინაშე. სამინისტრომ უნდა დაიტოვოს მხოლოდ ორი ძირითადი ფუნქცია – 1) მარეგულირებელი ჩარჩო-დოკუმენტების შექმნა და 2) ხარისხობრივი და ფინანსური კონტროლი.

* * *

ძირეული ცვლილებები საჭირო არაა, უნდა შენარჩუნდეს ის კურსი, რაც ბოლო წლებში დაიწყო, დაწყებული წარმატებული რეფორმები უნდა მივიდეს ბოლომდე, თუმცა პედაგოგის საათობრივი სახელფასო განაკვეთი გადასახედია – საჭიროებს მატებას. რაც შეეხება სკოლების საგამოცდო სისტემას, სავარაუდოდ, საუბარი უნდა დავიწყოთ IX კლასის გამოსაშვებ გამოცდებზე, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო სკოლის ფუნქციის ზრდას, არამედ ასევე მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო სისტემის განვითარებისთვის.

* * *

განათლების სისტემაში, ბოლო პერიოდში, რეფორმა მიმდინარეობდა 50-მდე მიმართულებით, მათ შორის – უსაფრთხო სკოლა, პედაგოგთა სერტიფიცირება, სკოლების ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება და ა.შ. თუმცა რეფორმებს შორის გამოვარჩევდი სკოლაში საატესტატო გამოცდების დანიშვნას, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სკოლის ფუნქციის ზრდას საგანმანათლებლო სივრცეში. თავის დროზე, ამ ცვლილებას დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა, თუმცა ამ სფეროში მოღვაწე ადამიანების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო.

რამაზ ადაძე
ბათუმის №18 საჯარო სკოლის დირექტორი

* * *

განათლების მინისტრი, პირველ რიგში, უნდა იყოს ლიბერალური ღირებულებების მატარებელი, ნოვატორი, განათლების სფეროს კარგი მენეჯერი, რათა გარკვეული რეფორმების გატარებისას შეძლოს ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი მოდელის შერჩევა და ქართულ რეალობაზე მორგება. ასევე კარგად იცნობდეს განათლების სფეროს და ჰქონდეს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება – უნდა იცოდეს სკოლის სტრუქტურა და მუშაობის პრინციპი, მასწავლებლისა და მოსწავლის ფსიქოლოგია.

განათლების სამინისტროსა და სკოლას შორის უნდა იყოს ჯანსაღი დამოკიდებულება მიმდინარე საკითხებისადმი როგორც სკოლის, ასევე სამინისტროს მხრიდან, ანუ ორივე მხარე უნდა იზიარებდეს ერთმანეთის აზრს და არა ცალსახად, რაც რეფორმის გატარების 100%-იან შანსს იძლევა (მიუხედავად დიდი რეფორმებისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ შესაცვლელია). ასევე, არის წვრილმანი საკითხები, რომელთა მიმართ გადაწყვეტილების მიღების დროს სკოლა-დირექტორი უნდა იყოს დამოუკიდებელი, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში.

რაც შეეხება გატარებულ რეფორმებს, აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს მეთორმეტეკლასელთა საატესტატო გამოცდები, უფრო მეტიც, ჩემი აზრით, საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ უნდა ჩატარდეს საშუალო საფეხურზე გადასასვლელი გამოცდები, ასევე შენარჩუნებულ უნდა იქნეს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები (ოღონდ უნდა მოხდეს არსებული პროგრამის გადახედვა) და, ასევე, სასურველია, შენარჩუნებულ იქნეს მანდატურის სამსახური, გარკვეული უფლებების შეზღუდვით, კერძოდ, რაც ახლა მახსენდება, ესაა: მანდატურები არ უნდა ერეოდნენ საგაკვეთილო პროცესში, არ უნდა ამოწმებდნენ საკლასო ჟურნალებს და სხვ. ეს ყველაფერი მხოლოდ დირექტორის და მოადგილის/მოადგილეების პრეროგატივა უნდა იყოს.

→ 4

აქტუალური თემა

ალუდა გოგლიჩიძე
თბილისის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის დირექტორი

* * *

რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს განათლების მინისტრი? – ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს შეგნებულად ავარიდებ თავს იმ მარტივი მიზეზით, რომ მინისტრობის კანდიდატურა უკვე დასახელებული და ფაქტობრივად დანიშნულია. ამის გარდა ბ-ნ გიორგი მარგველაშვილზე საუბრისას შესაძლოა მკითხველს ჩემს ტენდენციურობაში შეეპაროს ეჭვი, ხოლო საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მას პირადად არ იცნობს, ვფიქრობ, ძალიან მალე გაიცნობს მის პირად ღირსებებს, ღირებულებებს და სისტემის განვითარების ხედვას.

ამ შემთხვევაში, ჩემთვის უფრო მოსახერხებელია, ვისაუბრო განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე, აქტუალურ საკითხებზე და გამოწვევებზე, რომელთა გადაწყვეტაც მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის. ვფიქრობ, ამის შემდეგ უფრო მართებულია გავაკეთოთ დასკვნები თუ რა მოთხოვნებს უნდა უპასუხოს დღევანდელმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა.

* * *

რაც შეეხება კითხვას, თუ როგორი ურთიერთობა უნდა იყოს განათლების სამინისტროსა და საჯარო სკოლებს შორის, შემიძლია ვთქვა, რომ სკოლის დამოუკიდებლობის/ავტონომიურობის ხარისხის საკითხი პირდაპირ უკავშირდება განათლების პოლიტიკის ისეთ საკვანძო საკითხს, როგორიცაა სისტემაში ძალაუფლების გადანაწილება, ანუ ჩვენს შემთხვევაში, ბოლო პერიოდში წარმართულ დეცენტრალიზაციის საკითხს. ძალიან ხშირად ისმება კითხვა შემდეგი ფორმულირებით – ხართ თუ არა დეცენტრალიზაციის ან ცენტრალიზაციის მომხრე? ვფიქრობ, რომ საკითხის ასეთი ფორმით დაყენება დაბალი კომპეტენტურობის გამოვლენაა.

აქვე უნდა განვმარტო, რომ თავის დროზე, ამ პროცესების დაწყებისთანავე საკითხი არასწორად იყო დაყენებული, რადგან რეფორმის მიზანი არ შეიძლება იყოს დეცენტრალიზაცია, ის ნორმალურ პირობებში მხოლოდ საშუალებაა, ხოლო დემოკრატიზაციის მიზანი გადაწყვეტილებების მიღებაში ინტერესთა ჯგუფების რაციონალური ჩართვა, ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდა, ბიუროკრატიული კონტროლის ნაწილობრივ საზოგადოებრივი კონტროლით ჩანაცვლება და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაცია ინსტრუმენტია ისეთი პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის, როგორიცაა ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის ისეთი განვითარება, როცა ახალგაზრდების თუ ზრდასრულების დასაქმება, საკუთარი პოტენციალის რეალიზება და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება მის პირად უნარებზე, შრომისმოყვარეობასა და კეთილსინდისიერებაზე იქნება დამოკიდებული. ასევე მსურს აღვნიშნო, რომ ბუნებაში არ არსებობს სრულად არც დეცენტრალიზებული და არც ცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემები და თუ რა საკითხში რა სტრატეგიას აირჩევს სისტემა, სიტუაციური მიდგომით უნდა გადაწყდეს, ანუ როდის რა სჭირდება სწორად დასახული მიზნების მიღწევისათვის.

ბუნებრივია, ჩვენთვის, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის, რომელსაც სურს დაძლიოს ტოტალიტარიზმის, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის სისტემის კოლექტიური აზროვნების სტერეოტიპები და გავლენა და უზრუნველყოს კერძო საკუთრებისა და თავისუფალი ბაზრის პრინციპები, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება და სამოქალაქო საზოგადოების ისეთი განვითარება, რომლის ცენტრში ადამიანი და ადამიანური ფასეულობები იქნება, მეტად აქტუალურია სისტემის დემოკრატიზაცია და ვფიქრობ, რომ განათლების პოლიტიკის ამ კურსს ახლაც არ აქვს ალტერნატივა, მაგრამ ერთია განვითარების ორიენტირები და მეორეა მათი მიღწევის სწორი გზების დასახვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, თუ რა მოხდა ჩვენს რეალობაში. ჩემი შეფასებით, რაც არაერთხელ გამიკეთებია, მათ შორის წერილობით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში, სისტემის დონეზე, ჩვენ მივიღეთ საკმაოდ ცენტრალიზებული სისტემა (მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად სხვადასხვა სამსახურები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოეყვნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციების სახით), ხოლო სკოლის დონეზე, მივიღეთ დემოკრატიის ისეთი ხარისხი, როგორც არც ერთ დასავლურ და განვითარებულ ქვეყანაში არ არსებობს და, ამავდროულად, გამოიკვეთა ადმინისტრირების ძალიან დაბალი ხარისხი.

რა თქმა უნდა, ამ პოზიციების არგუმენტირებასა და დეტალიზების განმარტებას ახლა არ გავაკეთებ, მოკლედ ვიტყვი, რომ სკოლებთან ურთიერთობაში სამინისტროს მთავარი ამოცანა უნდა იყოს გადასახადის გადამხდელთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საქმეში, ზოგადი განათლების გათავისუფლება მისი განვითარებისათვის კონკურენციის, როგორც განვითარების ინსტრუმენტის გაუაზრებელი გამოყენებისა და უპასუხისმგებლო პრაქტიკისაგან.

რა თქმა უნდა, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მყოფი საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სისტემის დემოკრატიზაცია.

ამ კონტექსტში სკოლების ავტონომიურობის ხარისხის შენარჩუნება, მათ მიერ მომხმარებელზე ორიენტირებული დამოუკიდებელი სახის შექმნის საშუალების მიცემა მნიშვნელოვანია. მხოლოდ ამ კონტექსტში განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელებმა უნდა უზრუნველყონ დეცენტრალიზაციის სცენარის იმ რისკის დაძლევა, როცა სკოლაში შესაძლოა მივიღოთ დემოკრატიის მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ ადმინისტრირების დაბალი ხარისხი. აქვე დავამატოთ, რომ როდესაც სისტემის იერარქიაში რაიმე უფლებები „ზემოდან“ „ქვემოთ“ გადაინაცვლებს, აუცილებელია შეიქმნას დელეგირებული უფლებების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც საქართველოში კვალიფიციურად და ცივილურად ვერ განხორციელდა.

რაც შეხება იმას, თუ კონკრეტულ საკითხებზე რა აზრის ვარ, ამაზე უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებ, მაგრამ ერთი რამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ სისტემაში ცვლილებების განხორციელება აუცილებელია მრავალი მიმართულებით, მაგრამ ეს ცვლილებები უნდა დაეფუძნოს გატარებული რეფორმების ობიექტურ ინფორმაციებსა და სანდო სტატისტიკურ მონაცემებს, მეცნიერულად გამართულ კვლევებზე დამყარებულ კვალიფიცირებულ, სისტემურ და ხარისხიან შეფასებას.

აქვე დავამატებ, რომ რადგან საუბარი განათლების პოლიტიკის თემას შეეხო, სისტემის განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიმაჩნია მემკვიდრეობითობის პრინციპის ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრება. არაა სასურველი ყოველი სახელისუფლებო ცვლილების შემდეგ ყველაფერი იწყებოდეს ნულიდან, რამეთუ ყველა უნდა შეეგუოს იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ განათლების პოლიტიკის განსაზღვრისას ვერც ერთი ალტერნატიული განვითარების სცენარი 100%-იან შედეგებს ვერ მოგვიტანს, რადგან რეალურად ნებისმიერი გადაწყვეტილების შედეგები „51-49 პრინციპს“ ექვემდებარება.

დაბოლოს, განათლების პოლიტიკის საკითხებზე საუბარი მინდა იმით დავასრულო, რომ სისტემის წარმატებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ სწორი ორიენტირების დასახვა, ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ გადამწყვეტია მათი მიღწევის გზების ხარისხიანად დაგეგმვა, სრულფასოვანი პროგრამების შექმნა და სათანადო მენეჯმენტის უზრუნველყოფა. ასე რომ, ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური გუნდის წინასაარჩევნო პროგრამის რეალიზებისათვის მნიშვნელოვანია, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მთავარ ამოცანად დასახვის ფონზე, სისტემის დემოკრატიზაციის პოლიტიკის ეფექტიანად გატარება, სიტუაციის მიხედვით ცენტრალიზაციის თუ დეცენტრალიზაციის ინსტრუმენტების გამოყენებით.

* * *

განათლების სისტემაში მრავალი ცვლილებაა განსახორციელებელი. როგორც უკვე აღვნიშნე, მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითობის პრინციპის დამკვიდრება, განხორციელებული რეფორმებისა და არსებული რეალობის სიღრმისეული შეფასება და კვალიფიცირებულად, სათანადო მეთოდოლოგიების გამოყენებით გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ხარისხიანი პროგრამების შემუშავება საზოგადოების, ინტერესთა ჯგუფების მაქსიმალური ჩართულობით. აქვე დავძენ, რომ მიღებული კანონების, პროგრამების თუ სხვადასხვა დოკუმენტების ხარისხზე გაცილებით მნიშვნელოვანია, თუ რა გზებით, ჩართულობითა და პროცედურებით იქნება ისინი შემუშავებული.

რაც შეეხება კონკრეტიკას, როგორც უკვე აღვნიშნე, თუ ჩვენ გვინდა დემოკრატიული საზოგადოების აშენება, ტოტალიტარული მემკვიდრეობისაგან გათავისუფლება და ფეოდალური სკოლის ბოლომდე რეფორმირება, ზოგადი განათლების დემოკრატიზაციის პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს და დაიხვეწოს.

დეცენტრალიზაცია უნდა განხორციელდეს არა მარტო სკოლის დონეზე, არამედ სისტემაშიც. პირველ რიგში, უნდა გაიზარდოს სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი სპეციალიზირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაციების ავტონომიურობის ხარისხი (მაგალითად, დაუშვებელია ასეთ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდეს მინისტრის მოადგილე).

უნდა გადაიხედოს, სკოლის დონეზე, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის ძალაუფლების გადანაწილების საკითხი, ისე რომ საზოგადოების, ამ შემთხვევაში, მშობლებისა და მოსწავლეების სკოლის ცხოვრებაში და მართვის პროცესში ჩართულობის ხარისხი არა თუ შემცირდეს, არამედ რეალური და წარმატებული გახდეს.

დემოკრატიზაციის პოლიტიკის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი უნდა გახდეს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სისტემის მთელ ვერტიკალზე. გამჭვირვალობაში ვგულისხმობ არა მარტო ფინანსურ ასპექტს, არამედ ყველანაირს, მაგალითად: სკოლაში გამჭვირვალე უნდა გახდეს სწავლა-სწავლების პროცესი; მოსწავლეთა შეფასების სისტემა; სწავლების პროცესი, რომლის ფარგლებშიც უნდა გაჩნდეს მასწავლებლის ანგარიშვალდებულების მექანიზმები და სხვა.

მკვეთრად უნდა გაიზარდოს სტატისტიკურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი. მეტად მნიშვნელოვანია სისტემის რეფორმირების პროცესში უმაღლესი სასწავლებლების, დამოუკიდებელი არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების ჩართვა და ხარისხიანი კვლევების წარმართვა.

სისტემის გაჯანსაღების, რეფორმების უკეთ დაგეგმვისა და მიმდინარე პროცესების სრულფასოვნად შეფასებისათვის გადამწყვეტია ხარისხიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ამოქმედება. აქვე უნდა დავძინო, რომ ეს თემა, სხვა ყველაფერთან ერთად, პირდაპირ თუ ირიბად ეხება სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის საკითხს, რაც ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად წარმოჩინდა.

ვფიქრობ, რომ მანდატურის ინსტიტუტის შემოღება უნდა განვიხილოთ, როგორც უსაფრთხო სკოლის პროგრამის ნაწილი. მისი შემოღების მომენტშიც (წერილობით) და შემდგომაც არაერთგზის განვაცხადე, რომ სკოლის უსაფრთხოების საკითხში ჩარევის (ინტერვენციის) ლოგიკა გასაგებია და არა მგონია სადავო იყოს სკოლებში არსებული მდგომარეობის შეფასება, რომელიც არათუ სახარბიელო, არამედ რიგ შემთხვევებში საგანგაშოც კი იყო. ამავდროულად, როდესაც დისციპლინის მართვაზე ვსაუბრობთ, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ მშობელსა და მასწავლებელს არ გააჩნდათ სამართლებრივი ფორმით ურთიერთობების წარმართვის ტრადიცია, ისინი საკმაოდ პასიურები იყვნენ დისციპლინის მართვის გამჭვირვალე პროცესებში, ძნელად ხორციელდებოდა მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის პროცედურაც და ა.შ. ეჭვი მაქვს, რომ ზემოთ აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრა ამ ინსტიტუტმა შეძლოს იმ ფორმატით, რომლითაც არსებობს, მაგრამ მისმა მყისიერმა შეცვლამ შეიძლება ძველი პრობლემები კვლავ გააცოცხლოს.

ჩემი აზრით, ეს პროგრამა სიღრმისეულად უნდა შეფასდეს, შენარჩუნდეს მიღწეული შედეგები და აღმოიფხვრას ნაკლოვანებები, მაგრამ მისი საბოლოო შედეგი მიღწეულად ჩაითვლება, როცა ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე სკოლა (მასწავლებლები და დირექცია) აღიჭურვება სამოქალაქო ცნობიერებითა და პასუხისმგებლობით და შეძლებს გამჭვირვალედ, ადამიანის უფლებებისა და გადასახადის გადამხდელთა ინტერესების დაცვით მართოს სკოლაში დისციპლინა და ზოგადად სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი.

მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს სასკოლო დამამთავრებელი გამოცდების დანერგვა წარმოადგენს, რაც აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს, ხოლო მის ფორმატსა და მეთოდოლოგიაზე დიალოგი შესაძლებელია გაგრძელდეს. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ უნდა დაინერგოს ანალოგიური ხასიათის საბაზო საფეხურის დამამთავრებელი საყოველთაო გამოცდები, ხოლო სკოლების გარკვეულ ნაწილში – მე-3 და მე-6 კლასების დონეზე.

საზოგადოებაში, ბოლო პერიოდში, უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლის გაგრძელების მექანიზმების საკითხის განხილვას რაც შეეხება, კერძოდ „რვას + ერთი“ სისტემის დანერგვას – როგორც ყველაფერს, ამ საკითხსაც უნდა კომპლექსური გააზრება. იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი სკოლა ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, რაზეც კერძო რეპეტიტორობის მაჩვენებლები მეტყველებს, შესაძლოა, პირველ ეტაპზე, ძირითადი სასწავლო დისციპლინების მაჩვენებლების ხვედრითმა წილმა სასწავლო გრანტის განსაზღვრაში 60-70% შეადგინოს, ხოლო ზოგადმა უნარებმა – 30-40%.

თვისობრივადაა გადასახედი შრომითი ხელშეკრულებების ვადის საკითხი. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია ევროპული ქვეყნების (ფინეთი, ესტონეთი...) გამოცდილება, სადაც, ბოლო წლებში, უარი თქვეს დირექტორების ვადიან ხელშეკრულებებზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ყოვლად გაუმართლებელია მასწავლებლებთან ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებების პრაქტიკის გაგრძელება, რამეთუ უბრალოდ მიუღებელია ადამიანები იყვნენ მუდმივი სტრესის ქვეშ. პირიქით, ისინი უნდა გრძნობდნენ, რომ მათთვის და მათი მონაწილეობით ხდება ცვლილებები, რომ ძალაუფლება ხორციელდება არა მათზე, არამედ მათთან ერთად საერთო ინტერესების რეალიზებისათვის.

სასურველია, შეიცვალოს მასწავლებელთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაც და სერვისის მიმწოდებელი თავად მომხმარებელმა აირჩიოს, რაც კონკურენციის ფაქტორს და, შესაბამისად, მომსახურების ხარისხს გაზრდის.

აუცილებელია, შეიცვალოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის ის პუნქტი, რომელიც დამსაქმებელს საშუალებას აძლევს, ახსნა-განმარტების გარეშე დაითხოვოს სამსახურიდან დასაქმებული.

მნიშვნელოვანია, რომ განათლების სისტემა უფრო აქტიურად ჩაერთოს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში. მაგალითისათვის ვფიქრობ, რომ თვისობრივად სხვა დონეზე უნდა ავიდეს საჯარო სკოლებში აფხაზური ენის სწავლების საკითხი. ასევე სასწავლო გეგმებში ადგილი უნდა დაიმკვიდროს კონფლიქტების მართვის სასწავლო დისციპლინამ.

თვისობრივად უნდა გაუმჯობესდეს სკოლებში სამოქალაქო განათლების სწავლების პროცესი, მოსწავლეთა თვითმმართველობებისა და კლუბების მხარდაჭერისა და ზოგადად სამოქალაქო აქტივობებისაკენ მიმართული პროექტები.

რა თქმა უნდა, აქტუალურ საკითხთა ჩამონათვალი კიდევ დიდია და ყველაფერზე საუბარი ერთ წერილში შეუძლებელია. მთავარია, რომ არსებობს რეალობის ობიექტური შეფასებისა და ისეთი მომავლის დაგეგმვის სურვილი, სადაც მთავარი ღირებულება იქნება ადამიანი, ხოლო შემდეგ გადამწყვეტია გაცხადებული მიზნებისა და პროგრამების რეალიზების შესაბამისი და ჯანსაღი ნება.

აქტუალური თემა

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა,

პოლიტიკაში თქვენი გამოჩენის შემდეგ, არაერთხელ ვცადე თქვენთან წერილობით დაკავშირება, უფრო სწორად, თქვენთვის ხმის მოწვდენა. წერილობითი მიმართვა თქვენ რეზიდენციაში პირადადაც მოვიტანე, გამოვგზავნე ელფოსტისა და ფეისბუქის მეშვეობითაც. ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც პედაგოგს თქვენი სახელის ხსენებაც კი ეკრძალებოდა და ჩემი ყველა ეს ოპერაცია შესაბამისი სამსახურების მიერ კონტროლდებოდა. არცერთი მიმართვა არ იყო პირადული. საზოგადოებას, კონკრეტულად კი პედაგოგებს ეხებოდა. მაგრამ, სახელისუფლებო ტერორის პირობებში რისკის ფასად გადადგმული ჩემი ნაბიჯები უშედეგო აღმოჩნდა და მის შესახებ, ვფიქრობ, არაფერი არ შეგატყობინეს, ამიტომ, რამდენადაც ღია წერილის ფორმატი ამის საშუალებას მაძლევს, გადავწყვიტე, საჯაროდ გამოვხატო როგორც პირადად ჩემი, ისე ჩემი კოლეგების გულისტკივილი და ნაზრევი.

უპირველეს ყოვლისა მივესალმები განათლებისა და მეცნიერების მინისტრად მეცნიერის დასახელებას. კარგია თუ მას რაიმე კავშირი ჰქონია სასკოლო საზოგადოებასთანაც და თუ ასე არაა, მაშინ, იქნებ, სამინისტროს აპარატის დაკომპლექტების დროს მაინც იქნეს გათვალისწინებული ეს ფაქტორი. ვინ, ვინ და ჩვენ, პედაგოგებმა, ყველაზე კარგად ვიცით, რამდენი არაპროფესიონალი, გამოუცდელი და არაკეთილსინდისიერიც კი არის მოკალათებული სამინისტროში და მას დაქვემდებარებულ უწყებებში (რესურსცენტრები, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრი...).

ვწუხვარ და გული მტკივა იმის გამო, რომ განათლების გარშემო მედიასაშუალებებით მასწავლებლების გარდა ყველა ლაპარაკობს, ვისაც არ ეზარება. 1 ოქტომბრის მერე უამრავმა წამოყო თავი და დაიწყო პოპულისტური განცხადებების კეთება ე.წ. ზეწოლებზე და ა.შ. სინამდვილეში ყველა განცხადება ზედაპირულია და პედაგოგის სატკივარით ბოლომდე დაინტერესება ვერც ერთ მათგანში ვერ ვიპოვე. ეს წერილიც კი ვერა და ვერ გამოვაქვეყნე, ალბათ იმიტომ, რომ პედაგოგი აწერს ხელს, ან იმიტომ, რომ რომელიმე საჯარო მოხელეს ან პოლიტიკურ სუბიექტს არ ეკუთვნის... არც კი ვიცი, ამის მერე როგორი ნდობით და იმედით შევხედავ ქართულ პრესას!

მინდა შევეხო რამდენიმე აუცილებლად გადასაჭრელ საკითხს:

მოგეხსენებათ, ერთ-ერთ ძირეულ პრობლემას კვლავ წარმოადგენს პედაგოგთა მოუქნელი ანაზღაურების სისტემა. სრული დატვირთვის (18 კვირეული საგაკვეთილო საათი) მქონე სერტიფიცირებული მასწავლებლის ხელფასი (290 ლარი), დამეთანხმებით, ძლივს აკმაყოფილებს საარსებო მინიმუმს. სხვა კატეგორიის პედაგოგებს, კიდევ უარესი მდგომარეობა აქვთ. პედაგოგთა სახელფასო ანაზღაურების სქემაში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 576-ე ბრძანება) მოსაწონია მასწავლებლის კვალიფიკაციის, მოთხოვნადობის, სტაჟის და სხვა პროფესიული წარმატების გათვალისწინება, მაგრამ მისი ასახვა ხელფასის ოდენობაზე სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ვფიქრობ, ახალმა მთავრობამ უნდა განახორციელოს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი და სამომხმარებლო ფასების ცვლადობის პროპორციულად ზრდა (რასაც გვპირდებოდა კიდეც), ასევე უნდა შეიცვალოს სრული სამუშაო დატვირთვის მოცულობა, ანუ 18 კვირეული საგაკვეთილო საათი 15-მდე შემცირდეს. კიდევ: უნდა გაუქმდეს ხსენებულ ბრძანებაში 2008 წელს შეტანილი დანაშაულებრივი ცვლილება, რომლის მიხედვითაც „20-ზე მეტი ნებისმიერი საგაკვეთილო საათის ჩატარებისას (21, 22, 23...) მასწავლებელს ეძლევა სრული განაკვეთის ხელფასზე დანამატი (მხოლოდ. დ.ფ.) 25 ლარის ოდენობით“ (ბრძ. 576. მუხ. 5,4.). აღარაფერს ვამბობ აუცილებლად შესაცვლელ კაბალურ მოთხოვნებზე, რომელსაც შრომის კანონმდებლობა უყენებს დასაქმებულ ადამიანს.

სკოლების დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე (ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსება) გადასვლას ჰქონდა გარკვეული დადებითი მხარეები, რომ არ მომხდარიყო მისი შემდგომი მიზანმიმართული უხეში კორექტირება, რითაც დღეისათვის სკოლები ბოლომდე ხელ-ფეხშეკრულები არიან, რადგან თითოეული თეთრის გახარჯვა ცენტრიდან, ანუ განათლების სამინისტროდან არა მარტო კონტროლდება, არამედ მისი გამოყენების მიზნობრიობაც განისაზღვრება. თუ სკოლებთან ასეთი ფინანსური ურთიერთობა ძალაში დარჩება, მაშინ გაუმართლებელი და თან გაუგებარია ვაუჩერული დაფინანსების არსებობა.

ვერ დავმალავთ იმ რეალობას, რომ ძალიან სავალალოა პედაგოგთა ნაწილის პროფესიონალიზმი. სკოლებში დასაქმდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც სამსახურის ძიებაში სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. მასწავლებელთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, ფეხს ვერ უწყობს თანამედროვე დროის მოთხოვნებს და კვლავ ძველი დოგმატური შეხედულებებით ხელმძღვანელობს. ასევე დაბალია პედაგოგთა მიერ უახლესი ტექნოლოგიებით სარგებლობის მაჩვენებლები. ეს ყველაფერი, ცხადია, აისახება კიდეც სწავლის ხარისხზე. სახელფასო ანაზღაურების მატება, მართალია სათანადოდ ვერ აამაღლებს პროფესიონალიზმს, მაგრამ გაზრდის პროფესიონალი მასწავლებლის მიერ გაცემული ცოდნის ხარისხს. პროფესინალიზმის ამაღლებაზე კი სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, ოღონდ არა ისეთი „ნუცას სკოლებით“, როგორიცაა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი, ე.წ. მასწავლებლების სახლები და ა.შ., სადაც პროფესიონალიზმის ამაღლებლად ყოფილი ოროსანი მოსწავლეები, შაშკინის დამქაშები და მსგავსნი მესვეურობენ ან მუშაობენ. კვალიფიკაციის ასამაღლებლად ეფექტური იქნება უცხოეთის სკოლებში მივლინებები და უცხოელი ტრენერების ჩართულობა.

სრული ქაოსი სუფევდა სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი ჩემთვის დეტალურადაა ცნობილი, რადგან თავადვე გახლდით რამდენიმე სახელმძღვანელოს თანაავტორი. შაშკინის უშუალო დავალებით, ჯერ შემუშავდა წინააღმდეგობებით აღსავსე ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმა და შემდეგ თავადვე არერთხელ დაარღვიეს მისი მოთხოვნები. ასე მოხდა, მაგალითად, როდესაც ჩატარდა სახელმძღვანელოთა გრიფირების გასაიდუმლოებული პროცესი. საკონკურსოდ წარდგენილი სახელმძღვანელოების ნიმუშებს ამოწმებდა კომისია, რომლის წევრთა ვინაობა, პროფესია, ცოდნა იყო დაფარული, თუმცა კომისიის წევრთა პროფესიონალიზმის დაბალმა ხარისხმა თავი იჩინა მათ მიერვე დაწერილ დასკვნებში, ხოლო მათმა მიკერძოებულობამ და არაობიექტურობამ კი იმაში, რომ უმეტეს შემთხვევაში, გრიფი მიენიჭა იმ გამომცემლობების მიერ წარდგენილ სასკოლო სახელმძღვანელოებს, რომლებმაც მოახერხეს ურთიერთობის აწყობა განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნებთან. ამგვარი „კეთილურთიერთობით“ სახელმძღვანელოების ბაზარზე ცალკეულმა გამომცემლობებმა მოიპოვეს მონოპოლია და მათთან ერთად, ფინანსური მოგება მაღალჩინოსნებმაც ნახეს. მოსწავლეებამდე კი მივიდა ისეთი წიგნები, სადაც, ხშირად, გაუთვალისწინებელია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, მოსწავლეთა ასაკობრივი სპეციფიკა, და რაც ყველაზე ცუდია: გვხვდება უამრავი ფაქტობრივი, სტილისტური და ა.შ. შეცდომები. ვფიქრობ, უახლოეს 2-3 წლიწადში სახელმძღვანელოთა ხელახალი გადასინჯვა-გრიფირება მშობელთა ჯიბეზე ცუდად აისახება, სამომავლოდ კი უნდა შეიქმნას სახელმძღვანელოები მეცნიერებისა და მაღალკვალიფიციური პედაგოგების მონაწილეობით.

წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი ლომაიას მინისტრობის დროს, მკაცრად იდევნებოდა რელიგიისა და მათ შორის მართლმადიდებლური ქრისტიანობის საფუძვლების სწავლება. აიკრძალა არა მარტო სწავლება, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ქრისტიანული რელიგიური სიმბოლოების ტარებაც კი. დაუშვებელია ქართველი ბავშვების მართლმადიდებლობის ტრადიციისგან სრული მოწყვეტა. ცხადია, საყოველთაოდ ვერა, მაგრამ საბავშვო ბიბლიის სწავლება ქართულენოვან სკოლებში მაინც უნდა შევიდეს.

განათლების დაწესებულების ცენტრალიზაციას მოჰყვა ცენტრალიზებული იდეოლოგიის დამკვიდრებაც. თავად დემოკრატიაც კი გააზრებულია, როგორც დოგმა, როგორც ურყევი ჭეშმარიტება. სკოლები ლამის ისევ დაუბრუნდნენ ძველ კომუნისტურ მეთოდიკას იმ გაგებით, რომ აღზარდონ „ახალი დროის ადამიანი“. დღემდე, მთელ რიგ საგნებში შემორჩა იდეოლოგიზებული სწავლება. მაგალითად: სამყაროსა და ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობის შესახებ. როგორც ისტორიკოსი, კატეგორიულად ვეწინააღმდეგები მხოლოდ გაბატონებული, სახელმწიფო მფარველობაში აყვანილი ევოლუციონისტური მოძღვრების სწავლებას და მიმაჩნია, რომ მოსწავლეები უნდა ეცნობოდნენ, დღეს უკვე მრავალი მეცნიერის მიერ აღიარებულ, ალტერნატიულ თეორიას და მის არგუმენტაციასაც. არ შეიძლება რომელიმე მეცნიერული მოსაზრების ურყევ აქსიომად გასაღება. ალტერნატივის დაშვება უფრო მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა სააზროვნო დიაპაზონის გაფართოებას და მომავალ თაობას იხსნის ათეისტური, ან გნებავთ, თეისტური დოგმატიკის ტყვეობისაგან.

დაბოლოს: 4-5 თაბახი და ერთი გაზეთიც ვერ დაიტევს განათლების სისტემაში არსებულ პრობლემატიკაზე საუბარს. მეც უფრო მეტის თქმა მსურს, მაგრამ ვეცადე, მნიშვნელოვანიდან, ყველაზე მნიშვნელოვანი მეთქვა. მეთქვა ის, რაზეც უფრო ხშირად ვფიქრობ ან ვსაუბრობ კოლეგებთან, თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან, ის, რაც ყველაზე სასწრაფოდ მისახედია.

ბატონო ბიძინა,

პოლიტიკაში პირველი ნაბიჯი როდესაც გადადგით, თქვენ ახალი სახეების შემოყვანას დაგვპირდით. ალბათ, განათლების სფეროს ყველაზე მეტად სჭირდება ახალი, ახლებურად მოაზროვნე და პრაგმატული სიახლის მოყვარული ადამიანები. დავესესხები ჩემ მიერ თქვენდამი პირადად გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილს და ამით დავასრულებ: მთლად ხელისუფლების უვარგისობის ბრალი არ არის ჩვენში პრობლემების არსებობა. უმთავრეს შემთხვევაში, თავად ვქმნით მათ. დღემდე ვერ მოვიშალეთ და, როგორც ჩანს, დიდხანს არ ვაპირებთ გადავეჩვიოთ ცხოვრებას პრინციპით: „თუ ზემოთ ვიღაც კაცი არ გყავს, ისე არავის სჭირდები და ვერც წინ წახვალ“. ამგვარი კრედო ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი. სამწუხაროა, რომ ამგვარი „რკინის ფარდა“ არის ჩამოფარებული საკმაოდ ბევრი ადამიანის წინაშე, რომელთაც ძალუძთ ქვეყანასაც გაუწიონ სამსახური და თავადაც რეალიზდნენ.

უამრავი ადამიანის მსგავსად, იმედს ვიტოვებ, გახსნით „რკინის ფარდას“, რითაც ამჯერად მაინც დასრულდება მემკვიდრეობითი თანამდებობა-მოხელეობანას თამაში, რითაც ჩვენს ისტორიაში ამჯერად მაინც მიეცემა „ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას“!

დავით ფერაძე
ისტორიკოსი,
116-ე საჯარო სკოლის პედაგოგი

ტრენინგი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში

მასწავლებლის სახლი პედაგოგებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მომზადებას თბილისის გარდა უკვე რეგიონებშიც სთავაზობს. ტრენინგები დაწყებულია დმანისის, წნორის, კასპის, გორის, თიანეთის, ბათუმის, ზესტაფონის, მცხეთის, დუშეთის, თელავისა და ხაშურის მასწავლებლებისთვის. უახლოეს მომავალში ძალაქების რაოდენობა გაიზრდება.

მასწავლებლები რამდენიმე ძირითადი მიმართულებით ემზადებიან:

- **„ვიდეო როგორც სასწავლო რესურსი“**
- **„ვირტუალური საკლასო ოთახი ედმოდო“**
- **„ელექტრონული სასწავლო რესურსების მომზადება „ანიმოტოს“ გამოყენებით“**

თითოეულ ტრენინგზე პედაგოგები ეცნობიან სასწავლო პროცესში ვიზუალური მასალის გამოყენების მეთოდოლოგიას, ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილების თავისებურებებსა და სწორ მიდგომებს. გარდა ამისა, ისინი სწავლობენ ვიდეოკლიპების მომზადებას პროგრამა MOVIE MAKER-ის გამოყენებით, ვიდეოს განთავსებას ბლოგზე და სასწავლო მეთოდური მასალების პორტალში. ტრენინგებზე ყურადღება გამახვილდება პროგრამა EDMODO-ზეც. ეს არის საგანმანათლებლო სოციალური ქსელი მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვისა და მშობლებისთვის, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დავალებების გაგზავნა, გამოკითხვების შექმნა, ფაილების ატვირთვა ბიბლიოთეკაში, კომუნიკაცია მოსწავლეებთან და მშობლებთან და ა.შ. პედაგოგები ასევე შეისწავლიან „ელექტრონული სასწავლო რესურსების მომზადებას პროგრამა „ანიმოტოს“ გამოყენებით“.

ამ პროგრამის გამოყენებით ისინი მარტივად შექმნიან სასწავლო ვიდეოფაილებს სურათებითა და მუსიკით. იგი საშუალებას იძლევა ადვილად გაიცვალოს ვიდეომასალის ბმული ელექტრონული ფოსტით, გამოქვეყნდეს ბლოგზე/საიტზე, აიტვირთოს YOUTUBE-ზე და ასევე გადმოწეროთ თქვენს კომპიუტერში პრეზენტაციის მოსაწყობად.

პედაგოგთა დასახმარებლად

ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული პორტრეტები

წერილი მეორე

გრიგოლ ორბელიანი

იყო დრო, როდესაც ქართულ სუფრაზე რომელიმე სტუმართაგანი აუცილებლად ჩამოიღებდა კედლიდან ბანტიან გიტარას და ქალაქურ ჰანგზე წაიმღერებდა:

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!
ათი გზა მაქვს, ათივე შენსკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!

(ორბელიანი 1959: 65)

დღეს, იმავ სუფრაზე, შესაძლოა ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ეს მუხამბაზი გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის. იმ გრიგოლ ორბელიანს, რომლის კოლორიტული ფიგურის გარეშე წარმოუდგენელია XIX საუკუნის ქართული სინამდვილე.

იგი ამ საუკუნის გარიჟრაჟზე დაიბადა, 1804 წელს და უკვე თავისი წარმომავლობით იწვევდა გარეშემოთა რიდსა და ინტერესს: გრიგოლის მამა – დიმიტრი (იგივე ზურაბ) ორბელიანი, – დიდი ყაფლან ორბელისშვილის (სულხან-საბას პაპის) შთამომავალი იყო, უკანასკნელ ქართველ მეფეთა კარზე ნამსახურევი, ხოლო დედა – ხორეშანი – ასული გახლდათ მეფე ერეკლეს შვილიშვილის – ელენესი.

გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფი, იონა მეუნარგია, აღტაცებული ხორეშანის განსაკუთრებული სულიერი თვისებებით, წერდა: „მარტო გრიგოლის გამოზრდით არ იყო შესამჩნევი დედა პოეტისა. გრიგოლის გარდა, მას ჰყავდა სამი სხვა შვილი ილია, ზაქარია და ეფემია. სამივე თავისთავად შესანიშნავი და სახელოვანი პირნი. პირველ ორთა სახელს კაცი ხშირად შეხვდება კავკასიის სამხედრო ისტორიაში. თავიანთი ცხოვრებითა და სიკვდილით მათ ორთავ დაამტკიცეს თავგანწირული ვაჟკაცობა და ერთგულება მამულისა. ეფემიამ კი დაუვიწყარჰყო თავისი სახელი იმით, რომ შეიქმნა დედა ჩვენი სასიქადულო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა. იშვიათს ქართველ ქალს გაუზრდია ამდენი წარჩინებული ქართველები...“ (მეუნარგია 1954: 31).

ეს ბრწყინვალე შტო ორბელიანებისა შეწყდა გრიგოლის სიკვდილთან ერთად. იგი უძეოდ გადაეგო და აკვანშივე დაწინდული, მაგრამ სხვაზე გათხოვილი თავისი მოგვარე-საცოლის, სოფიო ორბელიანის სახსოვრად, მისადმი მიძღვნილი სამიოდ ლექსიღა დატოვა:

მე განშორებულს, სვე გამწარებულს
მაშინ გონებით თუ დამივიწყებ,
არ შევინანებ, ოღონდ კი შენს გულს
ზოგჯერ ვახსოვდე ჩემდამი ერთგულს!

(ორბელიანი 1959: 52)

ეს ლექსი რიგაშია დაწერილი. პოეტი-პორუჩიკი აქეთ გამოამწესეს 1832 წლის შეთქმულებასთან კავშირის გამო.

აქ იგონებდა იგი სიყმანვილის ბედნიერ დღეებს, თბილისის ლამაზმანებს, თავის ტოლ-ამხანაგებს და ყარაჩოღელ თანამოინახეებს – დიმიტრი ონიკაშვილს, მირზაჯანა მადათოვს, ლოპიანას.... ხუთი, გადასახლებას მიმსგავსებული სამხედრო სამსახურის წელი, გაუსაძლისი იქნებოდა, ეს მოგონებები და სიჭაბუკიდან თანაშეზრდილ ადამიანებთან ხელახალი შეყრის იმედი რომ არა:

მაგრამ ნუგეშად, ჩემდა შვებად, სასიხარულოდ,
ლხენად გულისა, უდროოდა მწარ-დამჭკნარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ
და განმისვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა!
მისთვის ვლოცავ ცას, შავნი დღენი ჩემთვის შთომილნი,
არ შეჰსწყდნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ გიხლონ
და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულო თვალნი,
მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარო.

(ორბელიანი 1959: 48)

რატომღაც მგონია, რომ როდესაც საქართველოში დაბრუნებული გრიგოლ ორბელიანი გადაიკითხავდა თავისი დისადმი – ეფემიასადმი მიძღვნილ ამ სტრიქონებს, იქვე გადმოიღებდა ნიკოლოზ ბარათაშვილი წერილს, რომელშიც დისშვილი ძალზედ დელიკატურად საყვედურობს ბიძას გურიის გლეხთა ამბოხის ჩახშობაში მონაწილეობას და ყურადღებით გადაიკითხავდა ჯერ აქვე თანდართულ ტატოს ლექსს – „ვპოვე ტაძარი“, მერე დანარჩენ ლექსებს და მოძალებულ, უსიამოვნო ფიქრებს განრიდებული, თავის საყვარელ ლიქიორს წაეტანებოდა...

უცნაურია, მაგრამ გრიგოლ ორბელიანის ჩანაწერებში თუ პირად წერილებში, რომლებშიც თითქმის მთელი მისი ცხოვრება აისახა, მათ შორის, გულწრფელი დატირება ბარათაშვილისა, სიტყვა არაა დაძრული მისი დისშვილის ლექსების შესახებ და ქართულ მწერლობას ბარათაშვილის სახელი გრიგოლ ორბელიანის „მტერ-მოყვარემ“ – ილია ჭავჭავაძემ დაუბრუნა.

აქვე უნდა ითქვას, რომ გრიგოლ ორბელიანი, „მამათა და შვილთა ბრძოლაში“ ერთობ „დაზარალებული“ პერსონაჟი ილიას „გამოცანებისა“ – „ზოგჯერ ქვეყანა ფეხებზე რომ ჰკიდია“, აკაკისაგან „ხარაბუზა გენერლად“ მონათლული, იმავ ილია ჭავჭავაძეს დასაბეჭდად უგზავნის თავის „ფსალმუნს“ და ელოდება მის პირუთვნელ მსჯავრს.

თავის მხრივ, ილია სთავაზობს გრიგოლ ორბელიანს წარუძღვეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას, მონანილეობა მიიღოს ქართული თეატრის აღორძინებასა თუ ბანკის დაარსებაში. ილიას არ დავიწყნია, როგორი მოწიწებით შესცქეროდა იგი სტუდენტობისას, არდადეგების შემდეგ პეტერბურგს მიმავალი, მლეთის დაღმართზე ეტლიდან გადმოსულ, ტანმორჩილ, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი გარეგნობის ბაკენბარდებიან პოეტ-გენერალს...

ამ ტანმორჩილებასთან და გენერლობასთან დაკავშირებით: გრიგოლი თავის თავს ხუმრობით, მაგრამ ხაზგასმულად „ნაპოლეონს“ უწოდებდა, ახლობლებმა კი სიყმაწვილეში „კურკა“ შეარქვეს. შერჩა კიდეც ეს მეტსახელი სიბერემდე და ვიდრე გენერლის კარიერას მივადგებოდეთ, ერთხელ მაინც თვალი შევავლოთ „კურკას“ მის ჩვეულ გარემოში: პირველყოვლისა, ეს თბილისია, ე.წ. „ორბელიანთა აული“ (კოლმეურნეთა მოედნის უბანი, რომელსაც, როგორც იქნა, ორბელიანის სახელი დაუბრუნდა), სადაც მოტიტვლებულ ეზოში იდგა დიდი, ორსართულიანი, ფართო მოაჯირით შემოვლებული სახლი ზურაბ ორბელიანისა. „კაცს შეუძლია ყველგან იყოს, თუნდაც იაპონიაში, – როგორღაც უთქვამს გრიგოლ ორბელიანს, – მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროსო“ (მეუნარგია 1954: 137).

ზაფხულობით იგი უმეტესად ტაბახმელაშია, მაგრამ ზოგჯერ კოჯორში გადაინაცვლებს, ან კუმისს, კოდას, წავკისს ჩააკითხავს... აქ მარტო იწყენს ხოლმე და აგარაკად ეპატიჟება თავის მეგობრებს და ნათესავებს – ანტონ ორბელიანს, დავით ყორღანაშვილს, დიმიტრი ონიკაშვილს. თვეობით ცხოვრობენ მასთან – დიმიტრი ჯორჯაძე (რომელიც ამ მეგობრობას თანაშემწისა და მდივნის მოვალეობას უთავსებს) და ყაფლან ორბელიანი – ბიძაშვილი გრიგოლისა, ვგონებ ყველაზე საყვარელი და სასურველი მისი სტუმარი. ყაფლანს – მომღერალსა და თარზე დამკვრელს, აშიკს, თავისი დევიზით – ეს ცხოვრება – ქალია“, ეტყობა, ის ხიბლი და ხალისი ჰქონდა, რომელიც ერთფეროვან, მდორე ყოფას აფერადებს და ზეიმად გადააქცევს... სალაპარაკოს რა გამოულევდა ყაფლანსა და უცოლოდ დარჩენილ, თუმცა (შესაძლოა – სწორედ ამიტომ), სასიყვარულო ისტორიებს დახარბებულ გრიგოლს. აკი წერს ერთი წერილის პოსტსკრიპტუმში ანტონ ორბელიანს: „ანტონ, თუ ვისმე ჩუმად ეარშიყები, ისიც მომწერეო“.

ამ, პიკანტური თემატიკისადმი შეუნელებელი ინტერესი გრიგოლ ორბელიანის ლირიკაშიც შეაღწევს და თუ ჩაკვირვებით გადაიკითხავთ მის „მუხამბაზს“ („არავისთვის მე დღეს არა მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან“) და იმავ ქარაგმულ მინიშნებებზე აგებულ მის ლექსს – „სალომეს – ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, გაიფიქრებთ, რომ ამ სალომეს ქმარი, – ალექსანდრე ჭავჭავაძე, – აღტაცებული ვერ იქნებოდა გრიგოლის „ლირიკულ-იუმორისტული“ ჟანრით, მაგრამ, როგორც გონიერი კაცი, თავს არიდებდა ურთიერთობის გამწვავებას თავისი ცოლისა და ქალიშვილების მეგობართან.

ჭავჭავაძიანთ ქალები მართლაც გულწრფელად ემეგობრებიან მათ განუყრელ მესაიდუმლესა და თანამოსაუბრეს – „კურკას“. გრიგოლის წერილებიდან და ლექსებიდან კი ჩანს, რომ ის სიხარულით აირჩევდა სხვა როლს – საყვარლისა თუ ქმრისას (ჯერ ნინოზე ფიქრობს, მერე – „წინანდლის ვარდზე“ – ეკატერინეზე). ვაი რომ, ქალბატონნი გრიბოედოვისა და დადიანისა, ესოდენ ახლობელნი და მიმზიდველნი, „კურკასთვის“ მიუწვდომელნი აღმოჩნდნენ...

რადგან „თანამოსაუბრე“ ვახსენეთ, არ შეიძლება ცალკე არ აღვნიშნოთ გრიგოლ ორბელიანის მართლაც გამორჩეული ნიჭი თანამოსაუბრისა. აღტაცებული იონა მეუნარგია წერს: „...და მოჰყვებოდა მუსაიფს, მაგრამ რა მუსაიფს. არა, ვისაც არ უნახავს გრ. ორბელიანი გულდამშვიდებით, ტკბილად მოსაუბრე ნაცნობ-მეგობართა შორის, ის თავის დღეში ვერ შეადგენს პოეტზე დაახლოვებულ აზრსაც. მარტო იმის ახლო, იმასთან ლაპარაკის დროს, როდესაც ის თავის მოსაუბრეს მადლიანად შეხედავდა და გულიდან გარდმოფენილს ნათელში გაახვევდა, რწმუნდებოდა კაცი, რა გამოულეველი, წმინდა, მოკამკამე წყარო იყო ეს კაცი კეთილგონიერებისა და მაღალი გრძნობისა. არც ერთი საგანი, არც ერთი კითხვა არ იყო კავკასიაში, რომელზედაც მას არ შესძლებოდა ლაპარაკი, არც ერთი კაცობრიობის გონების მაღელვებელი საკითხი არ იყო, რომელზედაც იმას არ შეედგინა თავისი, ქართული, აღმოსავლეთის ქრისტიანის აზრი“ (მეუნარგია 1954: 121).

ამ საუბრების (მასლაათის, მუსაიფის, როგორც ადრე იტყოდნენ), ერთი მთავარი თემა – ქართული ენის შერყვნა იყო: გრიგოლს დასტად ედო მაგიდაზე ფერადი ფანქრით აჭრელებული ჟურნალ-გაზეთები ლიტერატურული ახალთაობისა – მეტადრე სერგეი მესხსა და გიორგი წერეთელს კიცხავდა, „დროების“ რედაქტორებს...

გრიგოლ ორბელიანის ერთადერთი კრიტიკული წერილი იმდროინდელ „ცისკარში“, სწორედ გიორგი წერეთლის ახლადგამოქვეყნებული მოთხრობის („კიკოლიკო, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“) ენობრივ მხარეს ეძღვნებოდა. სხვათა შორის, რამდენიმე შენიშვნა მართლაც მართებული იყო, მაგრამ, საზოგადოდ, დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის მოწაფე, ანტონ კათალიკოსის ენობრივ პრინციპებზე აღზრდილი გრიგოლ ორბელიანი, აქაც ისეთივე კონსერვატორი მოჩანს, როგორც თბილისის გუბერნიის მარშლის არჩევისას, როდესაც იგი წინაღუდგა დიმიტრი ყიფიანის ღირსეულ კანდიდატურას და რადგან ყიფიანები მხოლოდ აზნაურები იყვნენ, თანამედროვეთ დაამახსოვრებინა გაწბილებული ფრაზა: „მაშინ დაილუპა საქართველო, როცა მე და წვიმიტიძე ერთმანეთს შეგვატოლესო“.

მაგრამ მოდით, დავუბრუნდეთ ამ ზვიადი ფეოდალის ოჯახურ გარემოს, სადაც იგი გაცილებით უფრო მეტ სიმპათიას იმსახურებს, ვიდრე სათავადაზნაურო საკრებულოში.

აქვე ვიტყვი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან განსხვავებით, მარტოხელა გრიგოლ ორბელიანს თავისი სახლი ლიტერატურულ სალონად არ გადაუქცევია. ოც-ოცი კაცი დღეში აქ მაგიდას არ შემოუსხდებოდა ხოლმე: ამისი არც შესაძლებლობა ჰქონდა დღენიადაგ ვალებში ჩავარდნილ გრიგოლს და, ვგონებ, არც სურვილი. სახლში მას თითო-ოროლა თანამოსაუბრე ერჩია, თუ სუსტი სქესისა იყო – მით უკეთესი... ქეიფი კი – ორთაჭალის ბაღებში, ან ტივზე, ან აბანოში, აქ ქალაქის შემოგარენში – დასტით, ზურნა-დუდუკით, თარით, არღნით, – ეს უკვე გემოვნებისა და მიხედვით... აკი მოუწოდებდა თანამეინახეებს ერთ თავის მუხამბაზში:

სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით
თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშებით!
ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილებით;
ალავერდა დასვით თარით ნაქებით,
ყოჯა ბულბულ ტკიბილის ხმით აღუღუნეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

და ა.შ.

(ორბელიანი 1959: 49)

არის ტიპი – მომლხენისა, მოქეიფის, რომლისთვისაც სუფრას, მის კოლორიტს თავისთავადი მნიშვნელობა აქვს. გრიგოლ და ყაფლან ორბელიანებისათვის სუფრის ხიბლი იმ უხილავ ნაპერწკალსაც გულისხმობდა, რომელიც მამაკაცთა საზოგადოებაში ლამაზ ქალს შემოაქვს. „არშიყობანი არ იყო და უამისოდ, სწორე გითხრა, წასვლა-მოსვლა და სადილი სრულებით არაფერია“, – წერს ერთ თავის ადრესატს ვნებადაუმცხრალი პოეტი... (ორბელიანი 1936: 75).

ამ მხარეს გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა –/ გრძნობადსა და რომანტიკულს, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი აქვს საერთო მისი ბიოგრაფიის ხილულ კალაპოტთან, მის სამხედრო და სამოქალაქო კარიერასთან, მაგრამ ყოველივე ეს – ერთი ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია და თუ გრიგოლ ორბელიანის პორტრეტი სრულად გვინდა წარმოვისახოთ, მისი ცხოვრების ამ მხარესაც უნდა მივადევნოთ თვალი.

ერთი საუკუნის წინ კიტა აბაშიძე თავის „ეტიუდებში“ წერდა: „რა უნდა იყოს საერთო იმ გრ. ორბელიანს შორის, რომელმაც, რაც უნდა ვთქვათ, ძალიან მძლავრად ააჟღერა პატრიოტული თავისი ჩანგი და იმ გრ. ორბელიანს შორის, რომელსაც დედამიწაზეც ერთად ერთ საყურადღებო ცენტრად, ერთად ერთ წერტილად თავისი ოჯახობრივი ინტერესი მიაჩნდა და ზურაბიანთ გვარეულობის დაცემასა და საქართველოს დაღუპვას ერთმანეთს უკავშირებდა. აბა მიბრძანეთ ერთი, რა აქვთ საერთო იმ პოეტს, რომლის ქნარიც ნაზი და მომხიბლავი მელოდიებით აღსავსე ჰანგებს გვასმენს, და იმ სასტიკ, გამხეცებულ მეომარს, რომელმაც სხვადასხვა მხარის მმართველობის დროს „დრაკონის კანონები“ შემოიღო? აბა, რა რიგათ შეგიძლიათ მოათავსოთ ერთ არსში მაღალგრძნობიერი მგოსანი, რომელიც გულზვიად და გულცივ სატრფოსაც კი გზას ულოცავს და ის გაშმაგებული სისხლისმსმელი მეომარი, რომელსაც თავისი სიმკაცრით თავი მოსწონს“ (აბაშიძე 1962: 41).

შემდგომ, კიტა აბაშიძეს მოჰყავს რამდენიმე ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილებიდან, სადაც იგი აღწერს, მისი ბრძანებით როგორ ასწორებენ მიწასთან დაღესტნის სოფლებს, როგორ აჭრიან თავებს ყაჩაღებს და ასკვნის: „...ამის დამწერ კაცს ვერ უნდა შეძლებოდა ვერც ერთი სტრიქონის დაწერა, რომელშიაც ადამიანური გრძნობა სჩანდეს. გრ. ორბელიანის პოეზია კი სავსეა ღრმა გრძნობიერებითა და მაღალი აზროვნებით“ (აბაშიძე 1962: 41).

კითხვებს, რომლებსაც უფიქრდებოდა კიტა აბაშიძე, დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა და ყოველი მიბრუნება გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიასთან და მის შემოქმედებასთან, იმავდროულად მისი გაორებული ბუნების ამოცნობასაც გულისხმობს. ეს გაორება გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას შორის კი არ არის მხოლოდ, ზოგჯერ თვით მის პოეზიაშიც გვხვდება.

მაგალითისათვის, პარადოქსებით აღსავსე, სწორედ კიტა აბაშიძის მიერ დაწუნებული, მაგრამ მაინც ქრესტომათიულად ცნობილი „სადღეგრძელო“ ავიღოთ: გავიხსენოთ, როგორ უთავსდება ერთმანეთს ბანგნარევი სტრიქონები, ესოდენ რომ ანანავებდნენ ქართველი კაცის ყურთასმენას:

სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი – გულადი, პურადი, მებრძოლი თავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა!..

(ორბელიანი 1959: 100)

და იქვე, რამდენიმე ტაეპით ადრე, მუხლთმორთხმული და ზეატაცებული მიმართვა რუსთხელმწიფისადმი:

ხელმწიფევ ჩვენო,
ძლიერო ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა!
მხედარნი შენნი;
ერთგულნი მხნენი,
ვჰსვამთ შენს სადღეგრძოს მოწიწებითა!
გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა,
შენდა შესაფერ-შესაწირავად;
ტაძარი შენი ჰსდგას გულსა ჩვენსა,
მოვედ მშვიდობის ჩვენდა საკმევად...

და ა.შ.

(ორბელიანი 1959: 98)

რაც მთავარია, გრიგოლ ორბელიანი ორივე შემთხვევაში გულწრფელია – იმ, პატრიოტული გზნებით გამსჭვალულ სტრიქონებშიც და თავის ქვეშევრდომულ მოწიწებაშიც. კარგად თუ ჩაუკვირდებით 1832 წლის შეთქმულთა ბიოგრაფიებს, დავინახავთ, რომ გრიგოლ ორბელიანის ევოლუცია საკმაოდ ნიშანდობლივია: პეტერბურგში გადასახლებულ ბატონიშვილებთან ქართული სამეფო ტახტის გამოტირება, კონდრატი რილეევის „ნალივაიკოს აღსარების“ თარგმნა, ამბოხებული პოლონეთის თანაგრძნობა... ყოველივე ამის შემდეგ კი – საიმპერატორო ტახტისათვის თავგამოდებული ოფიცრისა და დიდმოხელის კარიერა – აჯანყებული ჩეჩნეთისა და დაღისტნის დაპყრობით, ამბოხებული თბილისური ამქრისა და გურიის გლეხობის სამაგალითო დარბევით და საზოგადოდ, რუსეთის იმპერიის განაპირა გუბერნიის ერთ-ერთი წინამძღოლის მსოფლშეგრძნებით.

ზაზა აბზიანიძე

დასასრული შემდეგ ნომერში

მეთოდიკა

როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში

ჩვენ ვიწყებთ წერილების ციკლს, სადაც შევეცდებით საქართველოს საჯარო სკოლების ისტორიის მასწავლებლებს შეძლებისამებრ გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება სასერტიფიკაციო გამოცდებთან მიმართებაში. თავიდანვე მინდა გითხრათ, რომ რა თქმა უნდა ვერცერთი გამოცდა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული მასწავლებლის ინდივიდუალურობის, ნიჭის, შესაძლებლობების, ცოდნის თუ უნარ-ჩვევების სრულყოფილად წარმოჩენას. ასეა მასწავლებლების ისტორიის სასერტიფიკაციო გამოცდის შემთხვევაშიც, რომლის ტესტების საკმაო ნაწილი ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებს; რაც შეეხება მეთოდიკის ნაწილს, მასწავლებლების უმეტესობას აინტერესებს თუ რა კრიტერიუმებით ხდება მათი შედგენა და შეფასება? დამეთანხმებით, რომ ამ ტიპის ტესტების შედგენა საკმაოდ რთულია, ხოლო მათი გასწორება ორმაგად რთული და პასუხსაგები. მაგალითად, გაკვეთილის დაგეგმვის ნაწილში, როდესაც მასწავლებელს მოეთხოვება მიზნის გასაზღვრა და აქტივობების შერჩევა, ეს ამოცანა სხვადასხვა მასწავლებლებმა შესაძლოა სხვადასხვაგვარად გადაჭრან: თუ ერთმა მასწავლებელმა შეიძლება ერთი მიზანი დაისახოს და შესაბამისი მიზნის მისაღწევი აქტივობებიც შეარჩიოს, მეორემ შესაძლოა აბსოლუტურად განსხვავებული მიზანი განსაზღვროს და მისი შესაბამისი განსხვავებული აქტივობები დაგეგმოს და ორივე შემთხვევა (შეიძლება მესამე, მეოთხეც...) წარმატებული და მისაღები იყოს. ეს შესაბამისად სიძნელეებს შეუქმნის გამოცდების ცენტრის ტესტების შემდგენლებსა და გამსწორებლებს თუ რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელონ ტესტის შედგენის თუ მისი შეფასების დროს. თუმცა მინდა დაგამშვიდოთ, რომ გამოცდების ცენტრის თანამშრომლები ასეთ შემთხვევებში არაფორმალურად და საკმაოდ ლიბერალურად იქცევიან და მასწავლებლების მიერ სხვადასხვაგვარად, თუმცა სწორად დაგეგმილ გაკვეთილებს ობიექტურად აფასებენ.

ქვემოთ მოგცემთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც, ჩემი აზრით, დაგეხმარებათ ამ გამოცდების წარმატებით დაძლევაში. რჩევები, რა თქმა უნდა, სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და საბოლოო წარმატებული შედეგი მხოლოდ და მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული. 4-5 ან თუნდაც 20 სტატიაში ისეთი სრულყოფილი რჩევების მიცემა, რომელიც თუნდაც 80 პროცენტიან გარანტიას მოგცემთ, რომ გამოცდას წარმატებით დაძლევთ, შეუძლებელია. განმსაზღვრელი იქნება თუ რამდენად პასუხისმგებლობით მოეკიდებით ამ გამოცდას და რამდენად კარგად მოემზადებით მის დასაძლევად. ვიმედოვნებ, რომ ჩემი რჩევები წაგადგებათ გამოცდისთვის მომზადების პერიოდში.

რჩევა 1. კარგად შეისწავლეთ IX კლასის საქართველოს ისტორიის და XI-XII კლასების ისტორიის სახელმძღვანელოები (ახალი 2012 წლის ვერსიები). ეს სახელმძღვანელოები მოგეხმარებათ ფაქტობრივი ცოდნის გახსენებაში საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში. არ არის დასამალი, რომ ისტორიის საგნის სირთულე ფაქტობრივი მასალის დიდ რაოდენობაშია. განსაკუთრებით ეს ეხება მსოფლიოს ისტორიას. თქვენ ეს მასალა ნასწავლი გაქვთ უნივერსიტეტებში სხვადასხვა სემესტრების დროს 5 წლის განმავლობაში (საქართველოს ისტორიის სამი მონაკვეთი, ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური ქვეყნების, მახლობელი აღმოსავლეთის, სლავების და შუა საუკუნეების ისტორიები, ახალი და უახლესი პერიოდები). არ მეგულება არც ერთი ისტორიკოსი (აკადემიკოსი, პროფესორი თუ უბრალოდ სპეციალისტი, მასწავლებელი), რომელსაც ერთნაირად ეცოდინებოდა ყველა ამ საგნის ფაქტობრივი მასალა. ეს კარგად იციან საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებმაც და ისინი ძირითადად მაინც ეყრდნობიან უახლეს სახელმძღვანელოებს (რაიმე მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებაში შესაძლოა იყოს გამონაკლისიც, რომლის ხვედრითი წილი საერთო შეფასებაში უმნიშვნელოა). ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შარშანდელი საგამოცდო ტესტები; მაგალითად არჩევითბოლოიანი დავალებების ტესტებში გვხვდებოდა ასეთი დავალებები შესაბამისი ოთხი სავარაუდო პასუხით. მასწავლებელს უნდა ეპასუხა კითხვებზე: **რას გულისხმობდა სოლონის რეფორმები? ან რა ეწოდება ეკონომიკურ თეორიას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევასა და სახელმწიფოს მიერ სიმდიდრის (ფული, ძვირფასი ლითონები და სხვ.) დაგროვების აუცილებლობას ქადაგებს?** ამ ორივე კითხვის პასუხი შეგიძლიათ იხილოთ XI კლასის 2012 წლის ახალ გრიფირებულ ისტორიის სახელმძღვანელოებში (მაგ. გ. აბდალაძე, ბ. კუპატაძე, ისტორია, XI, „დიოგენე“, გვ. 52, 340-341). ისეთივე სიტუაცია გვხვდება II ტიპის ტესტის – ქრონოლოგიის განსაზღვრის დროსაც. შარშანდელ ტესტში იყო ასეთი დავალება – **ქრონოლოგიურად დაალაგეთ ევროპაში რეფორმაციისა და კონტრრეფორმაციის ეპოქის მოვლენები:**

1. „95 თეზისის“ გამოქვეყნება
2. აუგსბურგის ზავი
3. იეზუიტთა ორდენის დაარსება

ამ საკითხების შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ იმავე სახელმძღვანელოში – გვ.274-275, 281. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ დავალებაზე: **ქრონოლოგიურად დაალაგეთ სსრკ-ს, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა შეხვედრების ამსახველი ფოტოები**. საგამოცდო ფურცელში მოტანილი იყო სამი ფოტოსურათი, სადაც გამოსახულები იყვნენ: ერთზე რუზველტი, სტალინი და ჩერჩილი, მეორეზე – სტალინი, ტრუმენი და ჩერჩილი, ხოლო მესამეზე – ეტლი, სტალინი და ტრუმენი. იმავე ფოტოების ანალოგიური ფოტოები შეგიძლიათ იხილოთ ზემოთ დასახელებული ავტორების XII კლასის სახელმძღვანელოს 234, 235 და 240 გვერდებზე. ასე რომ, ჩემი რჩევა იქნება, ფაქტობრივი მასალის მომზადებისას მსოფლიოს ისტორიასა და ნაწილობრივ საქართველოს ისტორიაში, შეგიძლიათ გამოიყენოთ დამასრულებელი კლასების ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ისტორიაზე, სადაც შეგიძლიათ გამოიყენოთ IX კლასის ნებისმიერი სახელმძღვანელო.

რჩევა 2. კარგად გადაიკითხეთ და დაამუშავეთ ზემოთ ნახსენები სახელმძღვანელოების მასწავლებლების წიგნები. ეს წიგნები დაგეხმარებათ იმ ტიპის ტესტების სწორად შევსებაში, რომლითაც მოწმდება თქვენი ცოდნა და უნარ-ჩვევები ისტორიის გაკვეთილზე მეთოდიკის სწორად გამოყენების მიმართულებით: რამდენად კარგად იცნობთ კითხვების დასმის სტრატეგიებს? შესაბამისად რომელი კითხვა შეესაბამება ბლუმის ტაქსონომიის სასწავლო უნარებს? ასევე რამდენად ადეკვატურად შეგიძლიათ დაგეგმოთ გაკვეთილი – დაისახოთ კონკრეტული გაკვეთილის მიზანი და შესაბამისად სწორად გამოიყენოთ აქტივობები.

რჩევა 3. გამოცდისთვის მომზადების პროცესში აუცილებლად გამოიყენეთ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ყოველწლიური კრებულები: როგორ მოვემზადოთ მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის – ისტორია. კრებულებში შეტანილია მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ისტორიის ტესტები. გამოსულია 2011 და 2012 წლების კრებულები. ეს კრებულები მოიკითხეთ იმ მასწავლებლებთან, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ეს გამოცდები; ასევე შეგიძლიათ გაეცნოთ მასწავლებლის სახლის ბიბლიოთეკაში. 2013 წლის კრებული ჯერ არ გამოცემულა, მაგრამ იმედია მალე გამოვა. ამ კრებულებში მოტანილია წინა წლების გამოცდების ტესტები სწორი პასუხებით, განხილულია ყველა ტიპის ტესტი და მოცემულია სასარგებლო რჩევები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეს კრებულები გამოცემულია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, ანუ იმ პირების მიერ, ვინც უშუალოდ ადგენს საგამოცდო ტესტებს.

რჩევა 4. აუცილებლად დაესწარით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგებს, რომლებიც ჩატარდება მასწავლებლის სახლებში (თბილისი, ქუთაისი) ან საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში. ტრენინგის განმავლობაში თქვენ გაეცნობით ყველა ტიპის დავალების ნიმუშს, რომელიც შეიძლება სასერტიფიკაციო გამოცდაზე მოვიდეს, დაამუშავებთ და სავარჯიშოების სახით შეასრულებთ მათ, დაწერთ პრეტესტს და პოსტესტს, კარგად გაიხსენებთ გაკვეთილის დაგეგმვას და თავად დაგეგმავთ გაკვეთილებს (განსაზღვრავთ მიზანს, მოიფიქრებთ აქტივობებს და გაკვეთილის ორგანიზების ფორმებს, ადეკვატურად გამოიყენებთ რესურსებს). თუ თქვენ ამ რჩევებს გამოიყენებთ, დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად წარმატებით დაძლევთ სასერტიფიკაციო გამოცდას. მე კი, ჩემი მხრივ, ამ წერილების ციკლში მოკლედ მაინც განვიხილავ დავალების ყველა ტიპს.

დავალების I ტიპი – არჩევითბოლოიანი დავალებების ტესტები სამი ან ოთხი სავარაუდო პასუხით. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. ასეთი ტესტები კარგადაა ნაცნობი მასწავლებლებისთვის, რადგან გამოიყენებოდა და გამოიყენება აბიტურიენტების ისტორიის გამოცდების დროსაც; ასევე ხშირად თავადაც იყენებთ ხოლმე მოსწავლეების შემაჯამებელი შეფასების დროს. მოვიტან რამდენიმე მაგალითს:

რომელი სახელმწიფოს მეფე იყო ტიგლათფილესერ I?

ა. ურარტუს
ბ. ხეთების
გ. ბაბილონის
დ. ასურეთის

რომელი კოლონია არ დაარსებულა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში?

ა. ნეაპოლისი
ბ. გიენოსი
გ. პიტიუნტი
დ. აფსაროსი

რომელ თხზულებაში იხსენიება ფარნავაზის ბიძა, მცხეთის მამასახლისი სამარა?

ა. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“
ბ. მოქცევაი ქართლისაში
გ. აღწერა სამეფოსა საქართველოსაში
დ. ჯუანშერის თხზულებაში

რომელ რომაელ სარდალს არ მიუღია მონაწილეობა პონტოს წინააღმდეგ ომებში?

ა. ლუკულუსს
ბ. სულას
გ. კრასუსს
დ. პომპეუსს

თქვენთვის გასაგებია, რომ სწორი პასუხებია **დ, ა, ა** და **გ.** უნდა ითქვას, რომ ამ ტიპის დავალებები ყოველი თავის ბოლოს თითქმის სრულადაა მოცემული ზემოთ ნახსენებ XI-XII ისტორიის სახელმძღვანელოებში (სულ 20 ტესტი XI კლასში და 17 – XII-ში).

დავალების II ტიპი – ქრონოლოგიის განსაზღვრა. ესეც თქვენთვის ნაცნობი დავალებაა. ქრონოლოგიურად უნდა დაალაგოთ ისტორიული პიროვნებები და მოვლენები უძველესიდან უახლესისაკენ. მოვიტან რამდენიმე მაგალითს და თქვენ თავად შეამოწმეთ საკუთარი ცოდნა.

დაალაგეთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ძველიდან ახლისკენ

ა. 1. კაპეტინგები; 2. ვალუები; 3.კაროლინგები; 4. მეროვინგები.

ბ. 1. პონტოს სამეფოს დაპყრობა რომაელთა მიერ; 2. II პუნიკური ომი; 3. კალიგულას მიერ სომხეთის მეფის მითრიდატეს დაპატიმრება; 4. სპარტაკის მონათა აჯანყება.

გ. 1. მიუნჰენის გარიგება; 2. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი; 3. ავსტრიის ანშლუსი; 4. ბალტიისპირეთის ქვეყნების (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) ანექსია სსრკ-ს მიერ.

დ. 1. სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილება; 2. თბილისის აღება ხაზარების მიერ; 3. სტეფანოზ I-ის ერისმთავრად გახდომა; 4. ჰერაკლე I-ის ბიზანტიაში გაიმპერატორება.

ე. 1. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება; 2. თურქ-სელჩუკებისთვის ხარკის შეწყვეტა; 3. I ჯვაროსნული ლაშქრობის დასაწყისი; 4. მალიქ-შაჰის გარდაცვალება.

ვ. 1. „თბილისის საადგილმამულო სათავაზნაურო ბანკის დაარსება“; 2. გაზ. „დროების“ დაარსება; 3. „ქართველთა შორის წერა-კითხვის დამაარსებელი საზოგადოების“ შექმნა; 4. გაზ. „ივერიის“ დაარსება.

ეს ტესტი თქვენთვისაა შედგენილი და შეგიძლიათ შეამოწმოთ საკუთარი ცოდნა. მათი პასუხებია: **ა. 4, 3, 1, 2; ბ. 2, 4, 1, 3; გ. 3, 1, 2, 4; დ. 3, 1, 4, 2; ე. 4, 3, 2, 1; ვ. 2, 1, 4, 3.**

* * *

დანარჩენი დავალებების ტიპებზე და მათ ნიმუშებზე შემდგომ წერილებში იქნება საუბარი.

ბესიკ ლორთქიფანიძე
ისტორიის დოქტორი,
თბილისის №20 საჯარო სკოლის და
სკოლა „ანი-ზეტის“ ისტორიის მასწავლებელი,
ილიას უნივერსიტეტის ლექტორი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ტრენერი

2012–2013 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტურის ჩატარების განრიგი

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტური ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთდროულად ჩატარდება:

3 ნოემბერს, 10 საათზე – მათემატიკა;
3 ნოემბერს, 15 საათზე – რუსული ენა;
4 ნოემბერს, 10 საათზე – ბიოლოგია;
4 ნოემბერს ,15 საათზე – ინგლისური ენა;
10 ნოემბერს,10 საათზე – ქართული ენა და ლიტერატურა/ქართული ენა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისთვის;
10 ნოემბერს, 15 საათზე – ფრანგული ენა;
11 ნოემბერს, 10 საათზე – გეოგრაფია;
11 ნოემბერს, 15 საათზე – ქიმია;
17 ნოემბერს, 10 საათზე – ისტორია;
17 ნოემბერს, 15 საათზე – ფიზიკა;
18 ნოემბერს, 10 საათზე – ინფორმატიკა;
18 ნოემბერს, 15 საათზე – გერმანული ენა.

წელს, ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე სულ 253 555 მოსწავლე დარეგისტრირდა.

იურისტის კონსულტაცია

რა ვადით უნდა გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება საჯარო სკოლის პედაგოგთან?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების თანახმად, სკოლასა და მასწავლებელს შორის ვადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, რეკომენდებულია გრძელვადიანი – მინიმუმ 3-5 წლის ვადით შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.

საჯარო სკოლის პედაგოგებთან მოკლევადიანი (ექვსთვიანი, ერთწლიანი) შრომითი კონტრაქტების გაფორმების ბოლოდროინდელი ტენდენცია ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების მოთხოვნებს.

რა ფორმით იდება შრომითი ხელშეკრულება საჯარო სკოლის დირექტორსა და პედაგოგს შორის?

საჯარო სკოლის დირექტორსა და პედაგოგს შორის შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით. საქართველოს შრომის კოდექსისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების თანახმად, შრომითი ხელშეკრულება ფორმდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

აქვს თუ არა უფლება საჯარო სკოლის ახლად არჩეულ ან დანიშნულ დირექტორს ყოველ ჯერზე ხელახლა გააფორმოს ახალი შრომითი ხელშეკრულებები მასწავლებლებთან იმ საფუძვლით, რომ იგი სკოლის ახალი დირექტორია?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების თანახმად, მასწავლებელი (დასაქმებული) შრომით ხელშეკრულებას აფორმებს საჯარო სკოლასთან (დამსაქმებელი) და არა ფიზიკურ პირთან (კონკრეტული სახელისა და გვარის მქონე დირექტორთან). უბრალოდ, ხელშეკრულების გაფორმებისას საჯარო სკოლა წარმოდგენილია დირექტორით. სკოლაში ყოველი ახალი დირექტორის მოსვლისას მასწავლებლებთან ახალი შრომითი კონტრაქტების გაფორმება ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების მოთხოვნებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების თანახმად, რა ვალდებულებები გააჩნია სკოლის დირექტორს (დამსაქმებელი) პედაგოგთა (დასაქმებულთა) უფლებების დაცვის კუთხით?

№959 ბრძანების თანახმად, სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს მასწავლებელი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი, შეუქმნას მას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები. სკოლა ვალდებულია, აუნაზღაუროს მასწავლებელს ის ზიანი, რომელიც გამოწვეულია სკოლის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევით. სკოლა ვალდებულია, ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს მასწავლებელს დაყოვნებული თანხის 0.07%. სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების გაზრდა საჯარო სკოლის ბიუჯეტის ზრდასთან ერთად. სკოლა ვალდებულია, მასწავლებელი ასევე უზრუნველყოს:

ა) სასწავლო პროცესისათვის საჭირო გარემოთი;

ბ) სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოებით;

გ) აკადემიური თავისუფლებით იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას;

დ) კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობით, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ ვალდებულია, მისცეს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.

ე) მასწავლებლისათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაცემა დროებითი შრომისუუნარობის მთელ პერიოდზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების თანახმად, რა ვალდებულებები გააჩნია საჯარო სკოლის დირექტორს სასკოლო დისციპლინის დაცვისას?

სკოლა ვალდებულია, სასკოლო დისციპლინის დაცვისას უზრუნველყოს:

ა) მასწავლებლისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მისი ღირსების პატივისცემა და არ დაუშვას მასწავლებლის დისკრიმინაცია ნებისმიერი საფუძვლით;

ბ) მასწავლებლის მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელების შემთხვევაში, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურების გამოყენება;

გ) მასწავლებლისათვის წერილობითი განმარტების მიცემა მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსთან დაკავშირებით.

მასწავლებლის კიდევ რა უფლებებს ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანება?

მასწავლებელი უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს საჯარო სკოლის მართვაში პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით, მოითხოვოს და მიიღოს სკოლაში არსებული საჯარო ინფორმაცია. პედაგოგს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს მასთან დაკავშირებულ საკითხზე გამართულ ადმინისტრაციულ წარმოებაში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით და თავისი უფლებების დასაცავად გაასაჩივროს სკოლის, მათ შორის დირექტორის გადაწყვეტილებები და ქმედებები.

<u>საჯარო სკოლის პედაგოგს უფლება აქვს, საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად წარმომადგენლად ჰყავდეს პედაგოგთა პროფკავშირის იურისტი.</u>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანების თანახმად, კიდევ რა დებულებები უნდა განისაზღვროს მასწავლებელსა და საჯარო სკოლის დირექტორს შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებაში?

№959 ბრძანების თანახმად, შრომით ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს მასწავლებლის სამუშაო საათების, მათ შორის საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო საათების რაოდენობა, შრომის ანაზღაურების ოდენობა, მისი გაცემის ადგილთან, გაცემის სიხშირესთან, ანგარიშსწორების ფორმასთან და დროსთან დაკავშირებული საკითხები. შრომითი ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. საჯარო სკოლის დირექტორი ვალდებულია, პედაგოგებს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს სკოლის შინაგანაწესი, ხოლო შემდგომში – მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება და დამატება.

თამარ ავალიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

პროფესიონალთა კლასი

დამსახურებული ჯილდო და მადლობა

ვაჟა ქურასბედიანი პედაგოგებთან ერთად

ოც წელზე მეტია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში სვანეთიდან გადმოსახლებული, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა ცხოვრობს. ზვიადი მთების შვილებმა თანდათან აუწყვეს ფეხი ბარის ადათ-წესებს, შრომობდნენ და ზრდიდნენ შვილებს. ასე გახდნენ სვანები იმერეთში მასპინძლები. ასე შეემატა კუთხეს ახალი სოფელი – ახალი საყულია.

1988 წლის პირველ სექტემბერს პირველად დაირეკა ზარი ახალი საყულიის საჯარო სკოლაში. მას შემდეგ აქ უამრავ ახალგაზრდას დაულოცეს გზა ცხოვრების ასპარეზზე. სკოლის სათავეებთან ბევრი ღირსეული მასწავლებელი იდგა, მათ შორის არიან: **ვაჟა ქურასბედიანი, ელდარ ლიპარტელიანი, ნანი შატულოვა, ბაბუცა ლიპარტელიანი, ელისო ჯამბურიძე**, რომლებიც დღესაც მუხლჩაუხრელად ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდას.

პედაგოგიურ კოლექტივს სათავეში უდგას ბატონი ვაჟა ქურასბედიანი, მისი ხელმძღვანელობით სკოლა ბევრ სირთულეს უმკლავდება. ამ ადამიანის დამსახურებაა, რომ კოლექტივი მაღალკვალიფიციურია და, ამავე დროს, მეგობრული.

წლების განმავლობაში ვაჟა ქურასბედიანი კეთილსინდისიერად მოღვაწეობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1975 წლიდან მუშაობდა ლენტეხის რაიონის სხვადასხვა სკოლებში დირექტორად, ასევე ლენტეხის განათლების განყოფილებაში ინსტრუქტორად. 1988 წლის პირველი სექტემბრიდან სათავეში უდგას ახალი საყულიის საჯარო სკოლას. ბატონი ვაჟა ყოველთვის გამოირჩეოდა პასუხისმგებლობით და ახლაც ღირსეულად ასრულებს მასზე დაკისრებულ თანამდებობრივ და საზოგადოებრივ დავალებებს. მიღებული აქვს უამრავი სიგელი და მადლობა. აქვს ორგანიზატორული მუშაობის უდიდესი ნიჭი და გამოცდილება.

1990-იანი წლები ყველაზე მძიმე იყო ქვეყნისთვის, განსაკუთრებით ჩვენი სოფლისთვის. მიუხედავად სირთულეებისა, ბატონი ვაჟას ხელმძღვანელობით, სკოლა იყო ერთადერთი იმედი, ნათელი წერტილი, მართლაც რომ სულიერი საზრდო სოფლისთვის. კარგი ხელმძღვანელობის წყალობით, სკოლამ შეინარჩუნა სახე და ღირსება. მას შემდეგ, რაც სკოლას საშუალება მიეცა ჰქონდეს საკუთარი ბიუჯეტი, ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ. შესაძლებელი გახდა ინტერიერის გალამაზება და ინვენტარის შეკეთება-განახლება, თუმცა გარეთა ფასადისა და სახურავის შეკეთება სკოლის ბიუჯეტის ძალებს აღემატება. დირექცია, სამეურვეო საბჭოსთან ერთად, ცდილობს თანხების მოძიებას. მანამდე კი, საკუთარი ძალებით ვახერხებთ პრობლემების მოგვარებას.

ბატონი ვაჟა კარგი ხელმძღვანელია, ცდილობს და ახერხებს კიდეც, რომ ყოველი სასწავლო წელი სკოლისათვის უფრო წარმატებული იყოს. მისი დამსახურებაა, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმული განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებსა თუ ღონისძიებებში, წარმატებით აბარებენ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს.

ვაჟა ქურასბედიანი კარგი პედაგოგია. ამიტომ ყოველთვის ცდილობს დაეხმაროს კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რათა მათ აიმაღლონ კვალიფიკაცია.

პედაგოგები გვერდით უდგანან დირექციას და მონდომებით აკეთებენ საერთო საქმეს. თითოეულს კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა. სწორედ ამიტომ, დირექციასა და პედაგოგებს შორის საქმიანი, კეთილგანწყობილი ურთიერთობაა.

ბატონ ვაჟას ჰყავს მეუღლე – ნაირა ტვილდიანი და ორი ვაჟი – სოსო და ლაშა ქურასბედიანები, რომლებიც ღირსეულად დგანან ქვეყნის სამსახურში. ბედნიერია ადამიანი, რომელიც საყვარელ საქმეს ემსახურება, თუნდაც ყოველგვარი საზღაურის გარეშე. მაგრამ კარგია, თუკი შენს ამაგსა და შრომას დააფასებენ.

ახლახან, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 25 სექტემბრის განკარგულებით, ვაჟა ქურასბედიანი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი მუშაობისათვის. ეს ნამდვილად ხანგრძლივი შრომის, თავგანწირვისა და თავდადების აღიარებაა.

ახალი საყულიის საჯარო სკოლის პედაგოგები მადლობას ვუხდით ბატონ ვაჟა ქურასბედიანს თავდადებისათვის, მომავალ თაობაზე ზრუნვისათვის.

ვულოცავთ ამ საპატიო ჯილდოს მიღებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს და უშრეტ ენერგიას, რათა კვლავ აკეთოს ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო საქმე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
ახალი საყულიის
საჯარო სკოლის პედაგოგები

მოსწავლეებთან ერთად

გამოფენა

რაჭის საგანძური



მაკა ყიფშიანი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების მუზეუმში გაიმართა ფოტოგამოფენა, სახელწოდებით „რაჭის საგანძური“, რომელიც ძეგლთა დაცვის სამსახურისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმის ერთობლივი პროექტია. გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა იმ სიძველის ფოტოასლი, რომელიც 1925 წელს ისტორიკოსმა **გიორგი ბოჭოიძემ** რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს შეაგროვა და თბილისისა და ქუთაისის სხვადასხვა მუზეუმებს ჩააბარა, ეს არის: ხატები, ჯვრები, საეკლესიო ნივთები, ხელნაწერი წიგნების ფოტოასლები, რაჭის ტაძრების ფოტოხედები, აგრეთვე, რაჭის სხვადასხვა სოფლებში მოპოვებული ეთნოგრაფიული ნივთები. სიძველეთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, „ჯვარისის სტავროთეკა“ და „ჭელიშის (ხონჭიორის) ოთხთავი“.

ჯვარისის სტავროთეკა „ძელი ჭეშმარიტი“ შეიცავს ჯვარს ჩასვენებულს ბუდეში, ბუდის გულში ასვენია ვერცხლის ჯვარი, მოთეთრო გამჭვირვალე თვლით, რომლის ქვეშაც მოჩანს „ძელი ჭეშმარიტის“ ნაწილაკი. ჯვარს წინა მხრიდან ფარავს კარი. სტავროთეკის კარი წარმოადგენს ვერცხლზე ნაჭედ ხატს წმინდა გრიგოლ ნეოკესარიელისა. წმინდანის გამოსახულებას თან ახლავს ასომთავრული წარწერა:

„წმიდაო გრიგოლ
საკვირველთმოქმედო
შენდა შევედრებული მხევალი
შენი საჰაკდუხტ დაიცევ
ყოვლისაგან ბოროტისა...“

წარწერაში მოხსენებული გრიგოლ საკვირველთმოქმედი არის მსოფლიო წმინდანი გრიგოლ ნეოკესარიელი, ხოლო მხევალი „საჰაკდუხტ“ ვინ არის, არ ჩანს. ისტორიაში ამგვარი სახელით ცნობილია საგდუხტ დედოფალი, ვახტანგ გორგასლის დედა.

პალეოგრაფიულად წარწერა V-VIსს.-ით თარიღდება და ბოლნისის სიონისა და ჯვრის მონასტერზე ძველია.

ჭელიშის (ხონჭიორის) ოთხთავი XI-XIIსს.-ით თარიღდება. ოთხთავი შეიცავს: ოთხ სახარებას, გადამწერის ანდერძს, ზანდუკს (სარჩევს) და შემდეგი დროის მინაწერს – სააღაპე წიგნს. ოთხთავი ეტრატზეა ნაწერი ნუსხურად, ლამაზი ხელით, ორ სვეტად. თითოეულ სვეტში არის 25 სტრიქონი. სათაურები და საზედაო ასოები გამოყვანილია სინგურით, მრგლოვანად და მხატვრულად არის გაფორმებული. ოთხთავს აქვს საუცხოო ხელით ნახატი სურათები მათესი და იოანესი. თითოეული სახარების ტექსტის დასაწყისი შემკულია მცირე მინიატურით. ოთხთავი გადაწერილია ნიკოლოზ სოხასტრელის მიერ, რომელსაც იგი ჭელიშის მონასტრისთვის შეუწირავს. 1925 წელს გიორგი ბოჭოიძემ ის ხონჭიორში აღმოაჩინა, ამიტომ იწოდება ხონჭიორის სახარებად.

ზოია გოცირიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების მუზეუმის უფროსი:

„ხელოვნების მუზეუმი 1965 წელს დაფუძნდა დამსახურებული მხატვრის ნიკოლოზ მეტონიძის მიერ. ჩვენს მეზეუმში დაცულია ცნობილი ქართველი მხატვრების: ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ქეთევან მაღალაშვილის, უჩა ჯაფარიძის, ავთო ვარაზის, კობა გურულის, ლევან ცუცქირიძის, ნათელა იანქოშვილის, ზურაბ ნიჟარაძის, ეკატერინე ბაღდავაძის, ედმუნდ კალანდაძისა და სხვათა ნამუშევრები. რაც შეეხება ამჟამინდელ გამოფენას, ეს ჩვენი მუზეუმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ერთობლივი პროექტია. გამოფენაზე წარმოდგენილია თბილისის, ონის და ქუთაისის ეთნოგრაფიულ-ისტორიულ მუზეუმებში დაცული, რაჭაში აღმოჩენილი უძველესი სიწმინდეებისა და ნივთების ფოტოასლები. ამ გამოფენით გვინდა, მომავალ თაობებს გავაცნოთ ჩვენი კუთხის ისტორია, ტრადიციები. მუზეუმი უამრავ სტუმარს მასპინძლობს, განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ გამოფენის დასათვალიერებლად მოსწავლეები მოდიან“.

ქართველი მძლეოსნები ბაქოში

ამ დღეებში ბაქომ ჭაბუკ მძლეოსანთა შორის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები – 8 ოქრო, 5 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოიპოვეს.

ტურნირში 1997-99 წლებში დაბადებული მოზარდები მონაწილეობდნენ. 6 დისციპლინაში ასპარეზობები დახურულ დარბაზში გაიმართა. ჩვენებურთაგან ყველაზე წარმატებით **ზაურ ებრალიძე** გამოვიდა, რომელმაც ორი მედალი მოიპოვა – 600 მეტრზე სირბილში ოქრო დაისაკუთრა, 200-ზე კი ვერცხლს დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ ამ დისტანციაზე მას თანაგუნდელმა **დავით ჭედიამ** აჯობა. ჩვენმა ბიჭებმა კიდევ ერთი ოქრო ირგუნეს – **გიორგი მუჯარიძემ** ბირთვი ყველაზე შორს ჰკრა. გოგონებიდან ჩემპიონები გახდნენ: **მარიამ ჩაკაბერია** (200 მ), **ლიდია ბერძენიშვილი** (600 მ), **ქრისტინე ზოლოტუხინა** (სიმაღლეზე ხტომა), **თეონა მაჭარაშვილი** (60 მ) და **მარი ძაგნიძე** (სიგრძეზე ხტომა). აღსანიშნავია, რომ ზოლოტუხინამ თანაგუნდელ **მარი მწითურს** აჯობა, ხოლო ძაგნიძემ – **სალომე ფოცხვერაშვილს**. ვერცხლის მედლებს 200 მეტრზე სირბილში **მაკა სანიკიძე** დაეუფლა, სიმაღლეზე ხტომაში კი – **ნიკა ყაზარაშვილი**. ბრინჯაოს მედალოსნები სიგრძეზე ხტომაში **თამარ მახარაძე** და **დავით ლუკავა** გახდნენ.

ამით ჩვენმა ჭაბუკმა მძლეოსნებმა სეზონიც დაამთავრეს.

სასკოლო ლიგამ სტარტი აიღო

18 ოქტომბერს სასკოლო სპორტკლუბი „მორკინალი“ 1 წლის გახდა და იუბილე მორიგი სპორტული ღონისძიებით აღნიშნა – სწორედ ამ დღეს კლუბის ერთ-ერთი დამაარსებლის – 115-ე სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე სტარტი აიღო სასკოლო ლიგამ ფეხბურთში, რომელიც 2000-2001 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის ტარდება და ორ ჯგუფად გაიმართება. პირველში საჯარო სკოლების ნაკრები გუნდები გაერთიანდნენ, მეორეში – სკოლებში არსებული ფეხბურთის სპეციალური ჯგუფების წარმომადგენლები. სწორედ აქაა ერთადერთი არათბილისური გუნდი – კასპის სპორტსკოლის ნაკრები. ჯერ გაიმართება წინასწარი ეტაპის შეხვედრები, მერე კი ჯგუფის 4-4 საუკეთესო წარმომადგენელი პლეი ოფში გააგრძელებს ბრძოლას ჩემპიონის ტიტულისთვის. განზრახულია, რომ ფინალი გაისად, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს – 1 ივნისს ჩატარდეს.

გახსნის მატჩში ერთმანეთს მასპინძელი – 115-ე და 113-ე საჯარო სკოლების გუნდები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა საინტერესო და დაძაბული გამოდგა, რომელიც საბოლოოდ სტუმრების – 113-ე სკოლის მოსწავლეთა გამარჯვებით დასრულდა – 3:2.

სპორტკლუბის ხელმძღვანელობას წლეულსაც ისეთივე ფართომასშტაბიანი, დატვირთული კალენდარი აქვს განზრახული, როგორიც შარშან ჰქონდა. უკვე ნოემბრის ბოლოს კალათბურთის სასკოლო ლიგა იგეგმება, მოგვიანებით კი ტურნირები სპორტის სხვა სახეობებშიც ჩატარდება.

ბაზაძეები ევროპულ ფინალში

მრავალწლიანი შესვენების შემდეგ შარშან, თბილისმა პირველად უმასპინძლა ევროპის თასს 23-წლამდელ მოფარიკავეთა შორის, რომელიც ქუთაისელი **სანდრო ბაზაძის** გამარჯვებით დასრულდა. ეს ტურნირი წლეულსაც ჩატარდა და რიონისპირელმა მუშკეტერმა ტიტული წარმატებით დაიცვა. შარშანდელისგან განსხვავებით, ამჯერად, ფინალში უფროსი ძმის – **ბექა ბაზაძის** დამარცხება დასჭირდა.

წლევანდელ შეჯიბრებას სპორტკომპლექსმა „არენამ“ უმასპინძლა და მასში უკრაინის, ბელარუსის, გერმანიის, სომხეთის, აზერბაიჯანის და ირანის გუნდებიც გამოდიოდნენ. სანდრო ბაზაძემ გამოსვლა წარმატებით დაიწყო და ჯგუფურ ეტაპზე გამარჯვების შემდეგ, გზიდან ზედიზედ ჩამოიშორა თანაგუნდელი **ზაზა შენგელია**, ბელარუსი **არტიომ კარაბინსკი**, ირანელი **ჰამიდრეზა ტაპერხანი**, უკრაინელი **იური ცაპი**, ნახევარფინალში კიდევ ერთ უკრაინელ **ივან ბომკოს** დაძაბულ პაექრობაში 15:13 მოუგო და ფინალში გავიდა.

ამ დროს ფინალის მეორე საგზურისკენ არანაკლები შემართებით მიიკაფავდა გზას მისი უფროსი ძმა ბექა. მან ჯგუფში ხომ გაიმარჯვა, მერე ისევ ჩვენივე წარმომადგენელ **დავით მთვარელიძეს**, გერმანელ **რიჩარდ ჰუბერსს** და ირანელ **მოჯტაფა აბედინისაც** აჯობა. ნახევარფინალში გავიდა, სადაც კიდევ ერთ თანამემამულეს – **მიხეილ მარდალეიშვილს** დაუპირისპირდა. ეს ორივე ათლეტი ქუთაისელია, თუმცა ამის გარდა, მათ კიდევ ერთი რამ აერთიანებთ – ისინი პირველები არიან, რომლებმაც დამოუკიდებელ ქართულ ფარიკაობას უპირველესი რანგის საერთაშორისო ტურნირების მედლები მოუპოვეს – მარდალეიშვილი ჭაბუკებში მსოფლიოს მესამე პრიზიორია, ბექა ბაზაძემ კი ბრინჯაო ევროპის 23-წლიანთა პირველობაზე დაიმსახურა. ისინი ერთმანეთსაც კარგად იცნობენ, თუმცა ამჯერად დაძაბული ბრძოლა არ შედგა და ბაზაძემ შედარებით იოლად იმარჯვა – 15:11. დაძაბული არც ძმების პაექრობა გამოდგა, რადგან უმცროსი – სანდრო გარკვეულ უპირატესობას ფლობდა და გადამწყვეტი შეხვედრა 15:10 მოიგო, რითაც მეორედ ირგუნა პრესტიჟული პრიზი.

შიდა ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა შიდა ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში, სადაც მონაწილეობდა 20 საფეხბურთო გუნდი, 3 ინდოეთის, 3 თურქეთის, 1 ნიგერიის, 13 საქართველოს.

გუნდები ჯგუფების მიხედვით დაიყო, თითოეულ ჯგუფში 5 გუნდი იყო, რომელთაგან საუკეთესო 2-2 გუნდი მეოთხედ ფინალში გავიდა. საბოლოოდ, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უნივერსიტეტის ორგზის ჩემპიონი „რეაბილიტაცია“ და „რეალი“. ფინალი დიდი ანგარიშით (5:0) მოიგო „რეაბილიტაციამ“ და მესამედ მოიპოვა უნივერსიტეტის ჩემპიონის სახელი. III ადგილი მოიპოვა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის გუნდმა „თბილისი SITY“).

პირველი კურსის გუნდებიდან გამოირჩეოდა „თბილისი SITY“) თავდამსხმელი – მირიან ჯიქია, რომელიც გამოძახებულ იქნა თსსუ-ის ფეხბურთის ნაკრებ გუნდში. დასახელდნენ ტურნირის გამორჩეული ფეხბურთელები: საუკეთესო მეკარე – **გიორგი ლოლუა**, მცველი – **ზვიად ბლიაძე**, ბომბარდირი გახდა 17 გოლის ავტორი – **გიორგი პაიჭაძე**, თავდამსხმელი **მირიან ჯიქია** (I კურსი), ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა **ცოტნე ნანიტაშვილი**.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა მადლობას უხდის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელს, **ვახტანგ ბაქანიძეს**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, **გიორგი ჭინჭარაულსა** და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორს ბატონ **ზაურ ფხალაძეს**, ტურნირის საორგანიზაციო საკითხებში გაწეული დახმარებისთვის.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

სიახლე!



სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით ალმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი** (ახალი)
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ** (ახალი)
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი** (ახალი)
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“
~~10 ლარი~~
4.90 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“
~~17 ლარი~~
14.90 ლარი



მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- ჩვენი დედამიწა
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-IV ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >